განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დასკვნა სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დოქტორი ანი დუნა, პრეზიდენტი, მხატვრული დიზაინისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი, ირლანდია

წევრები:

ქ-ნი ნინო ამირანაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ბ-ნი ლევან სილაგაძე, ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქ-ნი მარიამ ზალდასტანიშვილი, გრაფიკული დიზაინერი და წიგნების ილუსტრატორი, საქართველო

ქ-ნი მარიამ შაიშმელაშვილი, სტუდენტთა წარმომადგენელი, სტუდენტი, არქიტექტურის ფაკულტეტი, ურბანული დაგეგმარება და დიზაინი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შეფასებას, რომელიც, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, განახორციელა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფმა. შეფასება განხორციელდა 2018 წლის 26-28 ივნისს. ანგარიში ეყრდნობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თვითშეფასების ანგარიშიდან და რიგი სხვა დოკუმენტაციიდან მიღებულ ინფორმაცას, ასევე შეხვედრებსა და ინტერვიუებს, რომლებიც ჩატარდა აკადემიის დაახლოებით 140 წარმომადგენელთან. ანგარიშის მიზანია, წარადგინოს მთავარი მიგნებები დაწესებულების ავტორიზაციის შეფასებიდან .

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

თბილისის *სახელმწიფო* სამხატვრო აკადემია(თსსა)არის ერთ-ერთი უძველესი, უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება სამხრეთ კავკასიაში. *თავდაპირველად, ცნობილი როგორც საქართველოს სამხატვრო აკადემია*,იგი დაარსდა 1922 წელს,საქართველოში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ხელოვანების ინიციატივით. მისი დაარსებოს დროს, აკადემიას ხელმძღვანელობდა იმ დროის მოწინავე ევროპული გამოცდილება და მიზნად ისახავდა ხელოვნებისა და ხელოვნების კრიტიკის სპეციალისტების თავმმოყრას უმაღლეს სახელოვნებო ინსტიტუტში. თავდაპირველად,*აკადემიაში მოქმედებდა ოთხი ფაკულტეტი:* ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და ხუროთმოძღვრების. 1927 წელს კერამიკული ხელოვნების განყოფილება დაარსდა ქანდაკების ფაკულტეტთან.

გასული საუკუნის განმავლობაში, აკადემიამ რადიკალური ცვლილებები განიცადა. თავიდან იგი საწარმოო განხრის სამხატვრო სკოლად გარდაიქმნა, შემდეგ კი დაიხურა. 1933 წელს, როდესაც აკადემია აღადგინეს, მას ეწოდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. მისი ფაკულტეტებისა და განყოფილებების სია გაფართოვდა. დროთა განმავლობაში აკადემიამ ეტაპობრივად მოიცვა სახვითი, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების, არქიტექტურის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მთავარი სპეციალობები.

2004 წლიდან საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში უამრავი რეფორმა გატარდა. ამ კუთხით, არც სამხატვრო აკადემია იყო გამონაკლისი. უმაღლესი განათლება სამ-საფეხურიანი გახდა. ამჟამად აკადემიაში მოქმედებს ხუთი ფაკულტეტი: სახვითი ხელოვნება, დიზაინი, მედია ხელოვნება, არქიტექტურა, რესტავრაცია/ხელოვნების ისტორია და თეორია. სამ მათგაზე (რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიის და თეორიის, არქიტექტურის და მედია ხელოვნების ფაკულტეტებზე) სწავლება ხდება საბაკალავრო,, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე.

2017 წლიდან აკადემიაში ფუნქციონირებს ორი კვლევითი ცენტრი: "კონსერვაციის ცენტრი" და "ვიზუალური კომუნიკაციის და მედია ხელოვნების ინსტიტუტი", რომლებიც კვლევის პროექტებს ახორციელებენ შესაბამის ფაკულტეტებთან თანამშრომლობით.

თეორიული სპეციალობების გარდა, სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევები ტარდება ხელოვნების სფეროშიც. კერძოდ, კვლევითი და ექსპერიმენტალური ლაბორატორია "ლურჯი სუფრა" დაარსდა სამხატვრო აკადემიისა და დიზაინის ფაკულტეტის ბაზაზე და დღემდე ფუნქციონირებს. იგი იკვლევს ინდუსტრიის ამ უნიკალური დარგის ტრადიციებს და აწვდის მათ აკადემიის სტუდენტებს. რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის რესტავრაცია/კონსერვაციის სპეციალობების დიაგნოსტიკური ლაბორატორია აღჭურვილია მაღალი ხარისხის აპარატურით და უნიკალურია მთელი სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ლაბორატორიაში ტარდება კულტურული მემკვიდრეობის ქიმიური, ფიზიკური, ოპტიკური, მინერალოგიური, პეტროლოგიური კვლევები.

ამჟამად აკადემიას ჰყავს 108 პროფესორი, 204 მოწვეული პედაგოგი და 1669 სტუდენტი. აკადემიური პერსონალის სამუშაო, გარდა სწავლებისა და ლექციებისა, მოიცავს მხატვრული შემოქმედებისა და კვლევით კომპონენტებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ხუთი სადოქტორო პროგრამიდან ორი ("კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა" და "ციფრული და გეომეტრიული მოდელირება") არის ექსკლუზიური საქართველოში. სახელოვნებო ფაკულტეტების პროფესორები და პედაგოგები აქტიურები არიან შემოქმედებითი პრაქტიკის კუთხით. სტუდენტები, ისევე როგორც მათი პედაგოგები, მონაწილეობას იღებენ ტრადიციად ქცეულ გამოფენებში. აკადემიაში ყოველწლიურად ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აკადემიის პროფესორები და სტუდენტებიც.

ბოლო წლებში, აკადემიამ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამებში უცხოურ სახელოვნებო უნივერსიტეტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და პროფესიონალური განვითარების გაზიარების ბაზას. ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ ევროპასა და რეგიონში არსებულ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები და კონტრაქტები.

2014 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მონაწილეობას იღებს პროექტში "უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება“, რომელიც დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. TEMPUS-ის პროგრამის ფარგლებში, აკადემაში დაარსდა უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს და ემსახურება სხვადასხვა ასაკის, სოციალური წრის, უნარებისა თუ ინტერესების მქონე ადამიანებს. ცენტრი მუდმივად ზრდის სასერთიფიკატო სამხატვრო პროგრამების სიას, რომელსაც იგი სთავაზობს დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს "აკადემიას". ჟურნალის პერსონალი თანამშრომლობს აკადემიის პროფესორებთან და პედაგოგებთან, ასევე ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებთან და ზოგადად ქართული კულტურის შემსწავლელ მეცნიერებებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ ლიტერატურას.

აკადემია დაარსდა და მდებარეობს უნიკალურ შენობაში, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში აიგო (გრიბოედოვის ქუჩა 22, თბილისი). ამ ძეგლის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი განხორციელდა აკადემიის პროფესორების, პედაგოგებისა და მაგისტრანტების უშუალო ჩართულობით, ამ მომენტისათვის მიმდინარეობს შენობის სრული რეაბილიტაციისა და აღდგენის პროცესი. აკადემიის სტუდენტები და პედაგოგებიც მონაწილეობენ პროექტის განხორციელების პროცესში. 2018 წლის ბოლოს, როდესაც

აკადემიის რეაბილიტაცია დასრულდება, დაგეგმილია თსსა-ს უმეტესი საქმიანობის ახალ შენობაში გადატანა.

საავტორიზაციო შეფასების
პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოში თსსა-ს ავტორიზაციის შეფასების შედეგს. შეფასება განხორციელდა 2018 წლის 26-28 ივნისს. ანგარიში ეყრდნობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თვითშეფასების ანგარიშიდან და რიგი სხვა დოკუმენტაციიდან მიღებულ ინფორმაცას, ასევე შეხვედრებსა და ინტერვიუებს, რომლებიც ჩატარდა აკადემიის დაახლოებით 140 წარმომადგენელთან. ადგილზე ვიზიტი მოიცავდა ამჟამინდელი ძირითადი საუნივერსიტეტო ტერიტორიის მონახულებას გრიბოედოვის ქუჩაზე. ვიზიტი განხორციელდა თავდაპირველ, აღდგენილ შენობაში, სადაც ამჟამად სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, ასევე რესტავრაციის ლაბორატორიაში, "ლურჯი სუფრის" ცენტრში და ფაბ ლაბში.

შეხვედრები შედგა სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან: უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სოციალურ და სამეწარმეო პარტიორებთან. ექსპერტთა ჯგუფი ასეე შეხვდა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს.

ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მიაწოდეს მთელი რიგი დოკუმენტები, მათ შორის თითშეფასების ანგარიში და თსსა-ს სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის დისერტაციები, შეფასების სტრატეგიები და ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ. ეს დოკუმენტები მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს.

უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ავტორიზაციის პროცესში შვიდი ძირითადი სფერო შეფასდა, თითოეულ მათგას ჰქონდა დამატებითი, ქვე-დანაყოფები. შვიდი სფერო: უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება, ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი, სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები, კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

ქულა მიენიჭა თითოეულ სტანდარტსა და ქვე-სტანდარტს, ჯამში 26. შვიდი ძირითადი სტანდარტიდან, ექვსი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და ერთი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 19 ქვე-სტანდარტიდან, 13 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 6 შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. არცერთი სფერო არ შეფასდა ქულით -"არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან"/ (იხილეთ ცხრილი, 7 გვ.)

<u>რეკომენდაციები</u>

- ინტერნაციონალიზაცია განსაზღვრულია როგორც თსსა-ს ხედვისა და მისიის უმთავრესი ასპექტი. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ თსსა-მ შეიმუშავოს და გამოაქვეყნოს მკაფიო და საქმეზე ორიენტირებული სტრატეგია ინტერნაციონალიზაციისთვის, რათა მიაღწიოს თავისი მისიისა და ხედვის ამ ასპექტს.
- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს, რომ შემუშავდეს უწყვეტი განათლების ნათელი სტრატეგია, რომელიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული.
- ექპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვით-გამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას და უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას.
- ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით და გასცემს რეკომენდაციას, რომ საჭიროა ამ საკითხზე მკაციო გადაწყვეტილების მიღება და პერსონალთან განხილვა და ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფინანსური შედეგების სრულად გათვალისწინება.
- ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა აკადემიური პერსონალის წევრებისა და სტუდენტების მიერ უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე და ამ გარემოების გავლენა ინტერნაციონალიზაციაზე. აკადემიამ სასურველია მიიღოს შესაბამისი ნაბიჯები ამ სიტუაციის გამოსწორების მიზნით.
- ექსპერთა ჯგუფი ფიქრობს, რომ საჭიროა, აკადემიის მასშტაბით, სხვადასხვა მმართველ ორგანოებსა და ჯგუფებს შორის უფრო მკაფიო და ეფექტური საკომუნიკაციო არხების შემუშავება.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, არსებითი ყურადღება და ფინანსური რესურსები დაეთმოს ინტერნაციონალიზაციას, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის ნათელი სტრატეგიის შემუშავებას აკადემიის ყველა სფეროში. ეს უნდა მოიცავდეს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინგლისური ენის ტრენინგებს, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტ შესაძლებლობებს, მეტ ოფიციალურ და დაგეგმილ საერთაშორისო პარტნიორულ კავშირებს.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის, მეთოდოლოგიისა და სამიზნე ნიშნულების გადახედვა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით მიიღოთ მკაფიო გადაწყვეტილება და მიაწოდოთ ეს საკითხი პერსონალს და სრულად გაითვალისწინოთ ნებისმიერი გადაწყვეტილების ფინანსური შედეგები.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია დაწესებულების მასშტაბით ხარისხის კულტურის საჭიროების შესახებ ცნობიერების ჩამოყალიბება, მის მნიშვნელობაზე ტრენინგის ჩატარება, განმარტება იმისა თუ რა როლები და პასუხისმგებლობებია დაკავშირებული ასეთი კულტურის შემუშავებასა და განხორციელებასთან.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გარკვეული იყოს ხარისხის უზრუნელყოფის თითოეული ჯგუფის ხარისხის პასუხისმგებლობები და როლები სტრუქტურაში.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სტუდენტებს უნდა მიეცეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და წერილობითი გზამკვლევი ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების პლაგიატზე, თავიანთი პროგრამის უმთავრესი პუნქტების გაცნობისას.
- თსსა-ს მიზნების თანახმად, არსებობს უცხო ენების სწავლების გაძლიერების - კერძოდ ინგლისური ენის და მისი ინკოპრორირების საჭიროება საგანმანათლებლო

პროგრამის დაგეგმვის, შექმნისა და განვითარების პროცესში. ეს დაეხმარება აკადემიას საერთაშორისო შემოქმედებით სფეროში ინტეგრაციის კუთხით.

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში საგანმანათლებო პროგრამების დაგეგმვა, შექმნა და განვითარება უფრო მეტად უნდა დაიხვეწოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა სტუდენტთა საჭიროებებთან ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გლობალურ გარემოში.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, მეტი სიაშკარავეა საჭირო შემოქმედებითი ტურის გამოცდასთან დაკავშირებულ მიზანთან, შინაარსთან და პასუხისმგებლობებთან მიმართებაში.
- ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შეფასების სტრატეგიები და შენიშნა რამდენიმე შეუსაბამობა ხარისხში, სადაც შეფასების ფორმა ხშირად არ ემთხვევა სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გადაიხედოს შეფასების სტრატეგიები ყველა პროგრამაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა და მაღალი ხარისხი.
- თსსა-მ უნდა განსაზღვროს პედაგოგიური უნარების კონკრეტული საჭიროებები და ორგანიზება გაუწიოს შესაბამის პროფესიულ ტრენინგებს აკადემიის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის.
- თსსა-მ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი უწყვეტი განათლების ცენტრს თავის მუშაობაში, რათა მმან თავისი ფუნქციების ინტეგრირება მოახდინოს, როგორც პერსონალის განვითარების ცენტრმა.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, ინგლისური ენის ცოდნა უნდა იყოს ერთ-ერთი კრიტერიუმი აკადემიური/მოწვეული პერსონალის დასაქმებისას.
- აკადემიამ უფრო დიდი ყურადღება უნდა გაამახვილოს ინგლისური ენის შესწავლის სტრატეგიაზე სტუდენტებისთვის, დაასაქმოს მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და რეგულარულად აკონტროლოს სწავლის შედეგები და ხარისხი.
- წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას, თსსა-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გადამწყვეტი აქტივობები, მაგალითად პერსონალისა და სტუდენტებისთვის ინგლისურის შესწავლის პროცესის გაძლიერება.
- თსსა-მ უნდა დააწესოს სამიზნე ნიშნულები სამუშაო დატვირთვის უფრო ეფექტური მართვისთვის, გაითვალისწინოს რა არსებული და მომავალი სტუდენტების რაოდენობა თითოეულ პროგრამაზე, ასევე პროგრამის მახასიათებლები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები.
- ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პერსონალსა და სტუდენტებს შორის საკომუნიკაციო არხები უფრო არაფორმალურია ან გამოიყენება სხვადასხვა პლატფორმები. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ეს მიდგომა მუშაობს სტუდენტებისთვის, თუმცა შესაძლოა საჭირო იყოს ამ საკითხის გადახედვა თუკი სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდება ან თუ სტუდენტთა კონტინგენტი გამრავალფეროვნდება.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ლექტორები და სტუდენტები უფრო მკაფიო უნდა იყვნენ ოფიციალურ ტექნოლოგიურ კომუნიკაციასა და სწავლის მიმდინარეობაზე, რაც აგებულია პედაგოგიკაზე დაფუძნებულ ტექნოლოგიით გაჯერებულ სწავლის ტრენინგებზე იმის გასაგებად თუ როდის, როგორ და რატომ არის მისაღები ვირტუალური სწავლების გარემო და როდის არის სასარგებლო საგანმანათლებლო პროცესში (და როდის არა) ისეთი პლატფორმების მოხმარება, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქი, Dropbox, , Google Docs, Twitter, Tumblr, Pinterest, Blogger. უფრო მეტიც, სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმები უფრო მკაფიო და ოფიციალური უნდა იყოს. სტუდენტები უნდა

ფლობდნენ ინფორმაციას იმ მხარდამჭერ ღონისძიებებზე, რომელთაც უნივერსიტეტი მათთვის უზრუნველყოფს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უნივერსიტეტში ოფიციალურად პასუხისმგებელი ორგანოების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციულ წვდომას და დაეხმარებიან სტუდენტებს თავიანთი უფლებების დაცვაში.

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გაუმჯობესდეს მისაღები გამოცდების მეთოდოლოგია, შეიქმნას გამჭვირვალობა სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა კარიერული განვითარების ცენტრმა შეიმუშავოს უფრო ნათელი და ორიენტირებული სტრატეგია, რომლის არსებობისა და ფუნქციების შესახებ სტუდენტები ინფორმირებული იქნებიან და მისცეს ამ სტრატეგიას ზრდისა და განვითარების საშუალება.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა უფრო მეტად განვითარდეს აკადემიის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგია, რათა გაუმჯობესდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექოლოგიები შესაბამისი დაფინანსებით და რომ იგი უკეთესად მოერგოს სტუდენტთა ცვალებად მოთხოვნებს.
- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიის მასშტაბით საჭიროა მმართველ ორგანოებსა და სტუდენტებს შორის უფრო მკაფიო და ეფექტური საკომუნიკაციო არხების განვითარება.
- თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესელი სფეროს სახით, აღნიშნული იყო, რომ საჭიროა კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განვითარება, რასაც მხარს უჭერს ექსპერტთა ჯგუფი, ასევე ის კურსდამთავრებულებიც, რომელთაც შევხვდით.
- სტუდენტთა მხარდაჭერის სპექტრი უნდა გადაიხედოს, რათა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს წვდომა მხარდამჭერი ღონისძებების სრულ სპექტრზე, მათ შორის კონსულტაციებსა და ფსიქოლოგიურ დახმარებაზე.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უცხო ენის უნარების მდგრადი განვითარება მოიცავდეს ინგლისურს, ეს დაეხმარება სტუდენტებსა და ლექტორებს მობილობაში (როგორც შემომავალ ასევე გამავალ), ასევე დაეხმარება ლექტორებს პროფესიულ განვითარებაში და ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას, უზრუნელყოფს რომ პროგრამამ ასახოს საერთაშორისო დონეზე ხელოვნებაში არსებული უახლესი მიღწევები.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა შემუშავდეს გეგმა ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად დოქტორანტურის სტუდენტების ხელმძღვანელობისთვის. ხელმძღვანელის მხრიდან ასევე უნდა შეირჩეს შესაბამისი საერთაშორისო პარტნიორები და შემდეგ წარუდგინონ/ურჩიონ სტუდენტებს.
- თსსა-მ როგორც დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნიკაციას ადგილობრივ და საერთაშორისო დოქტორანტებს შორის.
- წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას, თსსა-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს დოქტორანტთა მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე, მაგალითად მათი დასწრება საერთაშორისო კონფერენციებზე.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უცხო ენის უნარების მდგრადი განვითარება მოიცავდეს ინგლისურს. ეს დაეხმარება სტუდენტებსა და ლექტორებს მობილობაში (როგორც შემომავალ ასევე გამავალ), ასევე დაეხმარება ლექტორებს პროფესიულ განვითარებაში და ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას, უზრუნელყოფს რომ

პროგრამამ ასახოს საერთაშორისო დონეზე ხელოვნებაში არსებული უახლესი მიღწევები.

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, უნდა გაიზარდოს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა, რათა გაუმჯობესდეს და უფრო ეფექტური გახდეს თანამშრომლობა სამეცნიერო და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის თსსა-ში.
- თსსა-მ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია სტუდენტებსა და პერსონალში ელექტრონული ბიბლიოთეკის პლატფორმის დადებითი და სასარგებლო ასპექტების პოპულარიზაციის მიზნით; ინფორმაცია მიაწოდოს მათ იმაზე თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს კვლევის ხარისხზე ამ პლატფორმების გამოუყენებლობამ; ჩაატაროს ტრენინგები ასეთ პლატფორმებზე მუშაობასთან დაკავშირებით;
- თსსა-მ უფრო დიდი ყურადღება უნდა გაამახვილოს ინგლისური ენის შესწავლის სტრატეგიაზე სტუდენტებისთვის, დაასაქმოს მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და რეგულარულად აკონტროლოს სწავლის შედეგები და ხარისხი.
- ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ აღჭურვილობისა და კეთილმოწყობის მხარდაჭერის, შენარჩუნების, მომარაგებისა და განვითარების სტრატეგია უნდა შემუშავდეს, განხორციელდეს და შემდეგ მონიტორინგს დაექვემდებაროს, მათ შორის შემუშავდეს მკაფიო გეგმა რეგულარულ დაფინანსებისთვის, რათა შენარჩუნდეს და მომარაგდეს ინვენტარი.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ გადაიხედოს და განახლდეს სტუდენტებისათვის მიწოდებული და სამუშაო სივრცეში გამოქვეყნებული ინფორმაცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ბიბლიოთეკამ შეიმუშავოს სტრატეგია ქართული და ინგლისური სახელმძღვანელოების შესაძენად, როგორც მატერიალურის ასევე ციფრულის, და გამოყოს ფინანსური რესურსები ამ სფეროში.
- ესპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ აკადემიამ შეიმუშავოს ოფიციალური სისტემა, რომლითაც ყველა სტუდენტი/პერსონალი ინფორმირებული იქნება საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე და უზრუნველყოფილი იქნებიან ინფორმაციით და ჩაუტარდებათ ტრენინგი ამ მონაცემთა ბაზების მოხმარებაზე.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა უფრო მეტად განვითარდეს აკადემიის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგია, რათა გაუმჯობესდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექოლოგიები შესაბამისი დაფინანსებით და რომ იგი უკეთესად მოერგოს სტუდენტთა ცვალებად მოთხოვნებს.
- ექპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვით-გამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას და უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას.
- ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით და გასცემს რეკომენდაციას, რომ საჭიროა ამ საკითხზე მკაფიო გადაწყვეტილების მიღება და პერსონალთან განხილვა და ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფინანსური შედეგების სრულად გათვალისწინება.

<u>რჩევები</u>

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თსსა-ს ორგანიზაციულ სქემაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სუბორდინაციის გადახედვა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისი როლებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს უკეთესი მკაფიოობა.
- ექსპერტთა ჯგუფმა ჩაინიშნა და მხარს უჭერს აკადემიის გეგმას მისი შენობების განვითარებასთან დაკავშირებით და ფიქრობს, რომ ოქტომბერში ისტორიული შენობის გახსნა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აკადემიას საბიბლიოთეკო დაწესებულების, სტუდიებისა და საგამოფენო სივრცეების კუთხით და იმის შესაძლებლობით, რომ გამოიმუშავოს კომერციული შემოსავალი და აკადემია გაასაჯაროვოს უფრო ფართო საზოგადოებისთვის საქათველოში. შენობა ასევე გახსნის აკადემიას მობილობის პრობლემის მქონე სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა ამჟამინდელი ბიბლიოთეკის სივრცეზე წვდომის ნაკლებობა, თუმცა გვაქვს ინფორმაცია და მხარს ვუჭერთ მის გაფართოებას ახალი სარემონტო პროექტის ფარგლებში.

<u>საუკეთესო პრაქტიკები</u>

- ექსპერტთა ჯგუფმა ნახა იმის მტკიცებულება, რომ აკადეიას აქვს მკაფიო ხედვა და მისია ტრადიციულისა და თანამედროვეს შერწყმის კუთხით.
- თსსა-ს აქვს სტუდენტებისა და პერსონალის კარგი დონის ჩართულობა კონკრეტულ პრაქტიკულ პროექტებში. აღნიშნული პრაქტიკა და გამოცდილება გავლენას ახდენს პროგრამების დაგეგმვაზე, შემუშავებასა და განვითარებაზე და ძალიან სასარგებლოა შემოქმედებით-პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარე განვითარებისთვის.
- თსსა-ში სახვითი ხელოვნების მიმართულებას პრაქტიკული და შემოქმედებითი მუშაობის კარგი შერწყმა აქვს. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა გამოფენებსა და სამუშაო შეხვედრებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.
- რესტავრაცია, არქიტექტურა, მედიის ხელოვნება და დიზაინი ახლო ურთიერთობაში არიან შრომის ბაზართან - ეს გამოცდილება აისახება პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსზე.
- ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა ძალიან კარგი პრაქტიკა რესტავრაციის ლაბორატორიაში, ასევე ის შესაძლებლობები, რომელსაც იგი იძლევა სტუდენტებისთვის ყველა დონეზე, რეალურ კომერციულ და სამეწარმეო პროექტებში ჩართულობის მიზნით.
- სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრაციის კონტექსტში, ხაზი უნდა გაესვას „კონსერვაციის ცენტრის“ საქმიანობებს რესტავრაციის/ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ბაზაზე. აღნიშნული ცენტრი და ფაკულტეტი არიან ერთადერთი სუბიექტები საქართველოში, რომლებიც მუშაობენ რესტავრაცია/კონსერვაციის დარგში. ცენტრისა და ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ და იმავდროულად პრაქტიკას გადიან საკუთარ პროფესიაში „რეალური ცხოვრების“ პროექტებსა და დავალებზე. თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს უთმობენ მნიშვნელოვანი ქართული ძეგლების რესტავრაცია/კონსერვაციის პროცესში მონაწილეობას. უფრო მეტიც, ფაკულტეტისა და ცენტრის საქმიანობა თსსა-ს შემოსავლის გენერირებას ახდენს.
- ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ დოქტორანტურის საფეხურზე კვლევითი კომპონენტისთვის არ არის სწავლის საფასური.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1 .	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2 .	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2,1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☒	☐
3 .	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☒	☐
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6,3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დოქტორი ანა დუნა (თავმჯდომარე)
2. ნინო ამირანაშვილი (წევრი)
3. ლევან სილაგაძე (წევრი)
4. მარიამ ზალდასტანიშვილი (წევრი)
5. მარიამ შაიშმელაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (თსსა) მკაფიოდ განსაზღვრავს თავის მისიასა და ხედვას სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში, თვითშეფასების ანგარიშსა და თსსა-ს ვებ-გვერდზე. ამჟამინდელი ხედვა და მისია ოფიციალურად დამტკიცდა 2010 წელს თსსა-ს მიერ. თსსა-ს მისია და ხედვა შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს. მაგალითად, თსსა-ს მისია და ხედვა შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებს, მათ შორის პირად განვითარებას, კურსდამთავრებულების შემოქმედებითი უნარების განვითარების მზადებას, პერსონალის გადამზადებასა და აკადემიური თავისუფლების მხარდაჭერას, როგორც ეს ხაზგასმულია საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, პირველი თავის მე-3 მუხლში. ეროვნული საგანმანათლებლო მიზნების მუხლი 1 შეეხება „ქართული და მსოფლიო კულტურული ღირებულებების“ მხარდაჭერას. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა იმის მტკიცებულება, რომ აკადემიას აქვს მკაფიო ხედვა და მისია ტრადიციულისა და თანამედროვეს შერწყმის კუთხით. ეს ჩანდა პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერებიდან, ასევე შემოქმედებითი სამუშაოებიდან და სარესტავრაციო პროექტებიდან. ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე ჯგუფისგანაც, მათ შორის სტუდენტებისა და პერსონალისგან, მოისმინა მხარდაჭერა ამ მიდგომისადმი, რომელიც ძველისა და ახლის კომბინაციას გულისხმობს. ექსპერტთა ჯგუფმა სხვადასხვა ჯგუფებისგან, მათ შორის ხელმძღვანელობისა და პერსონალისგან, მოისმინა თუ როგორ ამაყობს თსსა იმით, რომ აქვს მისია, რომელიც ხელს უწყობს „ეროვნული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას, ისევე როგორც თანამედროვე ხელოვნების ფორმების განვითარებას“. თვითშეფასების ანგარიშის მე-5 გვერდზე საუბარია აკადემიის მიზანზე მოახდინოს პოპულარიზაცია „ქართული ხელოვნებისა საერთაშორისო ასპარეზზე და განავითაროს იგი ქართული საზოგადოებისა და კულტურის სასიკეთოდ“. თვითშეფასების ანგარიშში ასევე საუბარია ანტიკური და

თანამედროვე ხელოვნების ფორმების წახალისებაზე, ექსპერტთა ჯგუფმა ამის მტკიცებულება ნახა „ლურჯი სუფრის“ პროექტში, ასევე რესტავრაციის ლაბორატორიაში პერსონალისა და სტუდენტების მიერ ჩატარებულ სამუშაოებში. მისიასა და ხედვაში, რამდენიმე ადგილას, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სურვილი, რომ დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტიორებთან საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნების მუხლი 1(3)-ის მიხედვით, რომელიც ეხება უმარლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას. მართალია თსსა გამოხატავს სურვილს „დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან“, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისიისა და ხედვის ეს ნაწილი არ არის სრულად რეალიზებული, თსსა-მ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული საკითხი გასაუმჯობესებელ ასპექტებში მიუთითა. ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე მხარისგან, მათ შორის პერსონალის, სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისგამ მოისმინა, რომ მისიის ეს ნაწილი განვითარების პროცესშია. მისია და ხედვა უწყვეტ განათლებას განსაზრვავს, როგორც გადამწყვეტ კომპონენტს, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ეს სფერო ამჟამად განუვითარებელია; პერსონალმა და სტუდენტებმა არ იცოდნენ ზუსტად ამ ასპექტზე თსსა-ს მუშაობის შესახებ. ექპერტთა ჯგუფმა მოისმინა უწყვეტი განათლების ცენტრის არსებობის შესახებ, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს სფეროც შემუშავების პროცესშია და საჭიროებს უფრო მკაფიო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, რათა შესრულდეს თსსა-ს ხედვის აღნიშნული ასპექტი. თვითშეფასების ანგარიში და მოწოდებული დოკუმენტაცია საკმაოდ გამოგვადგა გადაწყვეტილებების მიღებაში. ჩვენ ვნახეთ იმის მტკიცებულება, რომ თვითშეფასების ანგარიშის შემუშავება ეფექტური კონსულტაციებით მოხდა. ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს, რომ ვიზიტის დროს ჩვენს მიერ აღმოჩენილი პრობლემები თვითშეფასების ანგარიშისა და აკადემიის მიერაც არის განსაზღვრული, რაც მიუთითებს აკადემიის კარგ თვით-აღქმაზე და მის ძალისხმევაზე, რომ გაუმჯობესდეს. სტუდენტები ზოგადად საკმაოდ კმაყოფილები არიან თავიანთი პროგრამებით, ყველა საფეხურზე, იქნება ეს ბაკალავრიატი, მაგისტრატურა თუ დოქტორანტურა. საერთო ჯამში პოზიტიური განწყობა აქვთ აკადემიის მიმართ და ესმით მისი როლი და ადგილი საქართველოს უმაღლეს განათლებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თსსა-ს სტრატეგიული გეგმა. თვითშეფასების ანგარიში შეხვედრები რექტორთან/კანცლერთან და მმართველ გუნდთან შეხვედრები პერსონალთან, სტუდენტებთან და მეწარმე პარტნიორებთან
რეკომენდაციები • ინტერნაციონალიზაცია განსაზღვრულია როგორც თსსა-ს ხედვისა და მისიის უმთავრესი ასპექტი. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, თსსა-მ შეიმუშავოს და გამოაქვეყნოს მკაფიო და საქმეზე ორიენტირებული სტრატეგია ინტერნაციონალიზაციისთვის, რათა შესრულდეს მისიისა და ხედვის ეს ასპექტი. • ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ შემუშავდეს უწყვეტი განათლების მკაფიო და ნათლად ჩამოყალიბებული სტრატეგია.
რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ექსპერტთა ჯგუფმა ნახა იმის მტკიცებულება, რომ აკადემიას აქვს მკაფიო ხედვა და მისია ტრადიციულისა და თანამედროვეს შერწყმის კუთხით.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმები (3-წლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა-ს აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმას, რომელიც წარმომადგენლობითმა საბჭომ ოფიციალურად მიიღო 2018 წლის მარტში. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფისა და ხელმძღვანელი ჯგუფების მიერ, რომელთაც ხელმძღვანელობდა რექტორი, მოიცავდა პერსონალის, სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასაც. სტრატეგიული გეგმა მკაფიოდ ასახავს იმ მიმართულებას, რომელსაც თსსა აიღებს მომავალი წლის განმავლობაში. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა და სამწლიანი სამოქმედო გეგმა მიიღო სამუშაო ჯგუფმა, რომელიც დაარსდა რექტორის განკარგულებით, მხედველობაში იყო მიღებული თითოეული ფაკულტეტის ხედვა და SWOT-ანალიზის შედეგები სამუშაო პროცესი დახასიათდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით, სადაც ხდებოდა ყველა გამოთქმული იდეის შეჯამება. სტრატეგიული განვითარების გეგმაში განისაზღვრა 7 (შვიდი) მთავარი პრიორიტეტი: ინსტიტუციური განვითარება, ინფრასტრუქტურული პროექტები, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება, ინტერნაციონალიზაცია, მხატვრული/შემოქმედებითი აქტივობების განვითარება, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განვითარება და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება. განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძელზე, განიმარტა მთავარი ამოცანები და დავალებები.

გეგმბი მზადაა თსსა-ს მისიასთან, ღირებულებებთან და ხედვასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, აკადემიის პრიორიტეტებზე დაყრდნობით, დაგეგმილია კონკრეტული აქტივობები. არსებობს სტრატეგიული გეგმის

ფარგლებში არსებულ აქტივობებზე ანგარიშგების სისტემა ფაკულტეტის დონიდან წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭომდე და რექტორამდე. პერსონალმა, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, იცოდა ამ ანგარიშგების მექანიზმის შესახებ და ჩართულიც ჩანდა ამ პროცესში.

2015 წლიდან აკადემიაში მოქმედებს უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც TEMPUS-ის პროგრამის ფარგლებში დაარსდა. ცენტრის მთავარი გოლია ფართო საზოგადოებას შესტავაზოს ხანმოკლე სასერტიფიკატო პროგრამები, რათა მათ განუვითაროს ახალი და შემოქმედებითი უნარები. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პერსონალმა და სტუდენტებმა ცოტა რამ იცოდნენ ამ ცენტრის როლისა და მისი მუშაობის შესახებ, მაშინ როცა თსსა ირწმუნება, რომ პროგრამებზე ძალიან მაღალი მოთხოვნაა როგორც ქართველ ასევე უცხოელ მონაწილეებს შორის.

თვითშეფასების ანგარიშსა და ექსპერტთა ჯგუფის მიგნებებში განსაზღვრულია მიმდინარე პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ადეკვატური დაწესებულების ნაკლებობით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, რადგან განახლებული შენობა 2018 წლის შემოდგომაზე იხსნება. პრობლემები მოიცავს ტემპერატურის დარეგულირებას, გაუქმებულ შესასვლელებს და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის არარსებობას, მაგალითად WiFi-ზე. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და არსებული შენობების ეტაპობრივად განახლების საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შენიშნა, რომ აკადემიური პერსონალის წევრებისა და სტუდენტების უცხო ენის ცოდნის დაბალი დონის გამო, მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობის ფონზე, აკადემიაში დაუბალანსებელი გაცვლითი პროგრამებია.

უცხოური სწავლების პროგრამებისა და საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების არარსებობა მენეჯმენტმა განსაზღვრა, როგორც სტრატეგიული პრობლემა და ეს გამოჩნდა პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შენიშნა სახელმწიფო დაფინანსებაზე დაყრდნობასთან დაკავშირებული პრობლემები და დაფინანსების სისტემა, რომელიც არ შეესაბამება უსდ-ს სპეციფიკას (ერთი და იგივე სწავლის საფასური ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, სტიპენდიები, რომელიც მიენიჭება სტუდენტს). ამან შესაძლოა გამოიწვიოს პრობლემები სამომავლო სტრატეგიულ დაგეგმვასა და სტრატეგიული გეგმების სრულყოფილად განხორციელებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა უერთიერთსაწინააღმდეგო აზრები მოისმინა სტრატეგიულ გეგმაში გაწერილ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის გეგმასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ფაკულტეტის პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრის დროს გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა სტუდენტთა ამჟამინდელი რაოდენობის შენარჩუნება რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხი შეზღუდული რესურსების ფონზე. მენეჯმენტი კი მიიჩნევს, რომ ზრდა აუცილებელია აკადემიის პროფილის განვითარებისთვის და სამომავლო შემოსვლების ნაკადის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თსსა-ს სტრატეგიული გეგმა.

თსსა-ს თვითშფასების ანგარიში

შეხვედრები რექტორთან,კანცლერთან და მმართველ გუნდთან ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
რეკომენდაცები: • ექპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვით-გამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას და უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას. • ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით და გასცემს რეკომენდაციას, რომ საჭიროა ამ საკითხზე მკაციო გადაწყვეტილების მიღება და პერსონალთან განხილვა და ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფინანსური შედეგების სრულად გათვალისწინება. • ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა აკადემიური პერსონალის წევრებისა და სტუდენტების მიერ უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე და ამ გარემოების გავლენა ინტერნაციონალიზაციაზე. აკადემიამ სასურველია მიიღოს შესაბამისი ნაბიჯები ამ სიტუაციის გამოსწორების მიზნით.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა
და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და აქტივობების განხორციელებას

- უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი.
- უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის
  პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა-ს მმართველი ორგანოებია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, რექტორი, კანცლერი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თსსა-ს აქვს ხუთი მთავარი საგანმანათლებლო ერთეული: აქრიტექტურის, სახვითი ხელოვნების, დიზაინის, მედია ხელოვნების, რესტავრაცა/ხელოვნების ისტორია და თეორიის ფაკულტეტები. ადმინისტრაციულ სტრუქტურული ერთეულებია: რექტორის ოფისი, საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, საფინანსო სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური და ბიბლიოთეკა.

აკადემიის სტრუქტურა და მთავარი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ერთეულების მოვალეობები განისაზღვრება თსსა-ს წესებითა და ერთეულების დებულებებით, ხოლო კონკრეტულ პოზიციებზე დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები განისაზღვრება სამუშაოს აღწერითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

დებულებების თანახმად, თითოეული სტრუქტურის პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და განაწილებული. თუმცა, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტრვიუებმა გამოავლინა, რომ ზოგერ მათ არ იციან ზუსტად თითოეული სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებლობების შესახებ (მაგალითად, სხვადასხვა აზრი დაფიქსირდა იმაზე, თუ ვინ არის პასუხისმგებელი შემოქმედებუთი ტურის ჩატარებაზე - პრაქტიკული მისაღები გამოცდა სტუდენტებისთვის).

სტრუქტურული ერთეულები თავიანთ ფუნქციებს კოორდინირებულად ახორციელებენ. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღფვანელებს ყოველკვირეული შეხვედრები აქვთ რექტორთან, სადაც განიხილავენ აქტუალურ თემებს, გეგმავენ სამომავლო აქტივობებს და ანაწილებენ დავალებებს. მათი ფუნქციების ეფექტური განხორციელება შეფასდება მართვის ეფექტუროობის მონიტორინგის მექანიზმებისა და წესების და შეფასების სისტემის მიხედვით. ყოველი წლის დასასრულს, მოწმდება თითოეული ერთეულის საქმიანობა წლიური ანგარიშის მეშვეობით.

თუმცა, ორგანიზაციული სქემიდან პასუხისმგებლობები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ექვემდებარება წარმომადგენლობით საბჭოსა და რექტორს, მაშინ როცა მის დებულებაში აღნიშნულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე. ექსპერტთა ჯგუფმა ამ საკითხს ნათელი ვერ მოჰფინა.

მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის მოთხოვნები და პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.

2016 წლიდან, თსსა-ს აქვს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა, აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებიდან ექსპერთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ამას არ მიიჩნევენ კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებად.

თსსა-ში შენარჩუნებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგისტრატურა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო პერსონალის მონაცემთა ბაზას მართავს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება და სტუდენტების მონაცემთა ბაზას მართავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

სწავლის, სამეცნიერო/კვლევითი, მხატვრულ/შემოქმედებითი და ადმინისტრაციული პროცესების მდგრადობას უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები (მათ შორის, სპეციალური სამხატვრო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის მქონე სივრცეები, როგორებიცაა: სამხატვრო დარბაზები, სტუდიები კერამიკისთვის, მინაზე მუშაობისთვის, სამეწარმეო დიზაინისთვის, ხის დამუშავებისთვის და ა.შ.; ლაბორატორეიბი რესტავრაცია/კონსერვაციისთვის, ტექსტილისთვის, ფაბ ლაბი და სხვა).

IT და ელექტრონულინ მართვის სისტემაზე შეფერხებები, ასევე პირადი და ცონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, თსსა-ს მიერ მიიჩნევა, როგორც შესაძლო რისკ ფაქტორები. მათი პრევენციის მიზნით, თსსა-მ შეიმუშავა IT ბიზნეს უწყვეტობის სამოქმედო გეგმა, რომელიც აღწერს IT ინფრასტრუქტურის კომპონენტებს (კომპიუტერული ქსელი, სერვერი, მონაცემთა ბაზა, კომპიუტერული პროგრამები) და მათ დიზაინს, მუშაობის ტიპს და ბმულებს გარე ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სისტემებთან.

თსსა-ს მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, ინტერნაციონალიზაციის პროცესი, კერძოდ სასწავლო პროცესისა და საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გამოცდილების გაზიარება, სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა, მათი აქტიური ჩართულობა საერთაშორისო სამხატვრო და სამეცნიერო ფორუმებში - წარმოადგენს აკადემიის ერთ-ერთ ცენტრალურ პრიორიტეტს. იგი თსსა-ს თვითშფასების ანგარიშში მითითებულია გასაუმჯობესებელ მხარეებში.

თსსა მონაწილეობას იღებს Erasmus+ პროექტებში, თუმცა შესამჩნევად დაბალია საერთაშორისო მობილობის კოეფიციენტი (2016-2017 წლებში - 16 სტუდენტი, 19 პროფესორი).

თვითშებასების ანგარიშში და ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს დროს, თსსა-მ განაცხადა, რომ საერთაშორისო მობილობის დაბალი კოეფიციენტის მიზეზი არის უცხოენოვანი პროგრამების ნაკლებობა და სტუდენტებსა და პერსონალში ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე. ამ ეტაპზე, აკადემიას გადაწყვეტილი აქვს შეიმუშავოს პროგრამები, რომლებიც საერთაშორისო ინტერესს გამოიწვევს და ხელი შეუწყოს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას სტუდენტებისა და პერსონალისთვის. თუმცა ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ აკადემიის ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით თანხები არ არის გამოყოფილი და თსსა-ს არ აქვს კონკრეტული გეგმა, რომ მოიზიდოს ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს სტრუქტურა
- უსდ-ს წესდება
- მთავარი საგანმანათლებლო ერთეულების დებულებები
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები
- დოკუმენტთა ბრუნვის პროცედურა
- IT ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
- საერთაშორისო საქმიანობა/პროექტები
- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტებზე და პერსონალის საერთაშორისო მობილობა
- სტუდენტებსა და პერსონალში ჩატარებული კვლევის შედეგები
- მართვის ეფექტურობისა და შეფასების სისტემის მონიტორინგის წესები და მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- ექსპერთა ჯგუფი ფიქრობს, რომ საჭიროა, აკადემიის მასშტაბით, სხვადასხვა მმართველ ორგანოებსა და ჯგუფებს შორის უფრო მკაფიო და ეფექტური საკომუნიკაციო არხების შემუშავება.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა არსებითი ყურადღება და ფინანსური რესურსები დაეთმოს ინტერნაციონალიზაციას, მათ შორის აკადემიის მასშტაბით ყველა სფეროში ინტერნაციონალიზაციის მკაფიო სტრატეგიის შემუშავებას. ეს უნდა მოიცავდეს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინგლისური ენის ტრენინგებს, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტ შესაძლებლობებს, მეტ ოფიციალურ და დაგეგმილ საერთაშორისო პარტნიორულ კავშირებს.

რჩევები:

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თსსა-ს ორგანიზაციულ სქემაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სუბორდინაციის გადახედვა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისი როლებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს უკეთესი მკაფიოობა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

o ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მისი საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, თსსა-მ განახორციელა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. თუმცა, ამ მექანიზმების უმრავლესობა ცოტა ხნის წინ განხორციელდა დაწესებულების მიერ და შესაბამისად გეგმისა და კეთების დონეზეა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება თსსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობაა.

თსსა-ს აქვს მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის. შეფასებას ახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებები. მათი როლები, ფუნქციები და მოვალეობები, ასევე ერთმანეთში კოორდინაცია უზრუნველყოფილია თსსა-ს წესდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტებთან და გარე დაინტერესებულ პირებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში. ზემოთ ხსენებული მექანიზმის მრავალფეროვნება და შესაბამისი დაინტერესებული პირების ჩართულობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ შეფასებას.

პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა განხორციელების პროცესშია. ადმინისტრაციული პერსონალი პირველად 2017 წელს შეფასდა და შეგროვებული მონაცემების დამუშავება ახლა მიმდინარეობს. ვიზიტის დროს, საბოლოო მონაცემები ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იყო ხელმისაწვდომი.

2017 წელს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა მონიტორინგის მექანიზმები სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისთვის. თსსა გეგმავს ამის შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტთა გამოკითხვის ახალ ფორმაზე მუშაობს, რათა უზრუნველყოფს პროცესის სიზუსტე. ახალი ფორმები შეეხება შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობას, შეფასების სისტემის სამართლიანობას და საგამოცდო თემების შინაარს.

თსსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვებს ატარებს დაწესებულების რესურსებისა და სერვისების ხარისხის შესაფასებლად. თვითშეფასების ანგარიშში მოცემული იყო შეფასების უახლესი შედეგები და თსსა მუშაობს მათ გაუმჯობესებაზე. სტუდენტებმა, რომლებსაც ექპსერტთა ჯგუფი შეხვდა, იცოდნენ ამ გამოკითხვების შესახებ და ბევრმა მათგანმა თქვა, რომ რეგულარულად ავსებენ მათ.

თსსა-მ შეიმუშავა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც შესრულდება თსსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით. დოკუმენტი - სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები- მოიცავს დაწესებულების ზოგად მიდგომას და განმარტავს, რომ მეთოდოლოგია ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ადამიანური და მატერიალური რესურსები, სტუდენტთა საერთო რაოდენობა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა რაოდენობა, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, მიღების დინამიკა (ბოლო წლებში), ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნა კურსდამთავრებულებისთვის კონკრეტული

სპეციალობით. თუმცა, კონკრეტული თანაფარდობებისა და სამიზნე ნიშნულების არარსებობა ამ დოკუმენტს ბუნდოვანს ხდის. სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები მოისმინა მენეჯმენტისგან, პერსონალისა და საფინანსო განყოფილებისგან და მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე მკაფიო გადაწყვეტილების მიღება და პერსონალთან განხილვაა საჭირო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტურობის შეფასება; • ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და ამ შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში; • სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები; • გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შესაბამისი ანგარიში; • თსსა-ს თვითშფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის, მეთოდოლოგიისა და სამიზნე ნიშნულების გადახედვა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით მიიღოთ მკაფიო გადაწყვეტილება და მიაწოდოთ ეს საკითხი პერსონალს და სრულად გაითვალისწინოთ ნებისმიერი გადაწყვეტილების ფინანსური შედეგები. • ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია დაწესებულების მასშტაბით ხარისხის კულტურის საჭიროების შესახებ ცნობიერების ჩამოყალიბება, მის მნიშვნელობაზე ტრენინგის ჩატარება, განმარტება იმისა თუ რა როლები და პასუხისმგებლობებია დაკავშირებული ასეთი კულტურის შემუშავებასა და განხორციელებასთან. • ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გარკვეული იყოს ხარისხის უზრუნელყოფის თითოეული ჯგუფის ხარისხის პასუხისმგებლობები და როლები სტრუქტურაში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა-ს შემუშავებული აქვს სტუდენტებისა და პერსონალისათვის ეთიკის კოდექსი. კოდექსი შეიცავს რეგულაციებსა და მექანიზმებს ეთიკური ქცევის ნორმების დასანერგად და პასუხისმგებლობებს აღნიშნული ნორმების დარღვევის შემთხვევაში. ეთიკის კოდექსი გამოქვეყნებულია აკადემიის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

აკადემიამ გამოსცა დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმებს და ასეთ შემთხვევებზე რეაგირების გზებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სტუდენტებმა არ იცოდნენ ამის შესახებ. პერსონალმა, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა,ა სევე არ იცოდა პლაგიატის აღმოჩენის პროცედურების შესახებ, კერძოდ შემოქმედებით ნაშრომებთან და პრაქტიკებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სილაბუსები შეამოწმა შემთხვევითობის პრინციპით, და ექვსიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო მითითებული, რომ სტუტენდის საგამოცდო ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი აღარ შეფასდებოდა.

თსსა-ს თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მომდევნო წლიდან, თსსა სხვა ქართულ სახელოვნებო უსდ-ებთან ერთად გეგმავს პლაგიატის გამოსავლენი კომპიუტერული პროგრამების დანერგვას. ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს ამ ინიციატივას.

თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულება აღნიშნავს, რომ დაგეგმილია სამივე საფეხურის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, რათა მათ მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, კერძოდ კი იმ შემთხვევებზე, როდესაც სტუდენტის ნაშრომი ითვლება პლაგიატად მისი შეფასების დროს. აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ვიზუალური მასალების პლაგიატს.

რაც შეეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, ექსპერტთა ჯგუფმა პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აღმოაჩინა, რომ მათ ბუნდოვანია თსსა-ში ინტელექტუალური საკუთრების წესები და სახელმძღვანელოები. სტუდენტები და პერსონალი ზედმეტად ეყრდნობიან საქართველოს კანონებს ამ საკითხთან დაკავშირებით, იმის ნაცვლად რომ დააწესონ მკაფიო გზამკვლევები სტუდენტებისთვის თავიანთი ნაშრომების საკუთრებისა და მათგან შემოსული ნებისმიერი კომერციული ღირებულების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა-ს ეთიკის კოდექსი
- თსსა-ს შიდა განაწესი
- პლაგიატის გამოვლენის პროცედურები და მასზე რეაგირება
- სილაბუსები

• ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სტუდენტებს უნდა მიეცეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და წერილობითი გზამკვლევი ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების პლაგიატზე, თავიანთი პროგრამის უმთავრესი პუნქტების გაცნობისას.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსა-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სისტემა. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება მიმდინარეობს მეთოდოლოგიით, სადაც მხედველობაში მიიღება ხელოვნების სფეროების სპეციფიურობა და განსხვავებები. პროგრამების შემუშავებაშია მონაწილეობას იღებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი; დამსაქმებლებისა და კურსდამთავებულების მოსაზრებებიც გათვალისწინებულია. ექსპერტთა ჯგუფმა ამის გამალითები მოისმინა სამეწარმეო და სოციალურ პარტნიორებთან შეხვედრისას. მსგავსი რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამაში ხორციელდება პრაქტიკული და შემოქმედებითი ცვლილებები. საგანმანათლებლო პროგრამის სამი საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სტუდენტებისთვის. სტუდენტებს

კარგად ესმით პროგრამების საფეხური და მისი შედეგები. ისინი კმაყოფილები არიან პერსონალის კომპეტენტურობით და მათ მიერ მიღებული განათლების დონით. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოისმინა მაგალითები სტუდენტებისგან, როდესაც მათ პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ რჩევა ჰქონდათ, რაც აკადემიამ გაითვალისწინა და განახორციელა. პროგრამების დამტკიცება და გაუქმება ხდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, როგორც ეს აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და ჩამოყალიბების რეგულაციაში (აკადემიური საბჭოს ოქმი #10, 2010). პროგრამები დაგეგმილია აკადემიურ და შემოქმედებით კომპონენტებს შორის კარგი დაბალანსებით და ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა მტკიცებულება, შემოქმედებით პრაქტიკებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ. თვითშეფასების ანგარიშმა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის, სტუდენტებისა და მეწარმე დაინტერესებული პირებისგან მოსმენილი მტკიცებულებამ წამოჭრა საკითხები პროგრამის დიზაინის საერთაშორისო ელემენტებთან და ინგლისურ ენაზე ჩატარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, აღნიშნული სფერო თსსა-ში განვითარებას საჭიროებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. • თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები. • თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2015-2017 წლების დასაქმების ანალიზი. • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები. • საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების პროცედურა; • ინტერვიუების შედეგები - ინტერვიუები აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მმართველ პერსონალთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: • თსსა-ს მიზნების თანახმად, არსებობს უცხო ენების სწავლების გაძლიერების - კერძოდ ინგლისური ენის და მისი ინკოპრორირების საჭიროება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შექმნისა და განვითარების პროცესში. ეს დაეხმარება აკადემიას საერთაშორისო შემოქმედებით სფეროში ინტეგრაციის კუთხით.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • თსსა-ს აქვს სტუდენტებისა და პერსონალის კარგი დონის ჩართულობა კონკრეტულ პრაქტიკულ პროექტებში. აღნიშნული პრაქტიკა და გამოცდილება გავლენას ახდენს პროგრამების დაგეგმვაზე, შემუშავებასა და განვითარებაზე და ძალიან სასარგებლოა შემოქმედებით-პრაქტიკული მეცადინეობის მიმდინარე განვითარებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისი სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, საგანმანათლებლო პროგრამები ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის(ECTS) შესაბამისად.

პროგრამის შედეგები არსებითად კარგად არის ჩამოყალიბებული და მხედველობაშია მიღებული სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სხვადასხვა ფაკულტეტები. არსებობს სწავლის შედეგები, რომლებიც კარგად არის ფორმულირებული და ყველასათვის გასაგები. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის დონეს და სტუდენტებს ესმით თავიანთი პროგრამის დონეები. სტრუქტურული ერთეულები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამებთან და სათანადოდ არის გათვალისწინებული შემოქმედებით-პრაქტიკული კომპონენტები. თსსა-ს დასჭირდება მუდმივი სტრუქტურის შემოღება, რათა განიხილოს თავისი პროგრამები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი არ მოძველდა გლობალურ დონეზე ცვალებადი პრაქტიკების ფონზე მუშაობის ახალ გზებთან და ახალ ტექნოლოგიებთან მიმართებაში. პროგრამის აღწერის შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ არა-სავალდებულო საგნები - მათ შეუძლიათ აირჩიონ სპეციალობის საგნები და დაწესებულების ზოგადი საგნები.

შემოქმედებით-პრაქტიკული სპეციფიური ფაქტორები კარგად არის აღწერილი სასწავლო პროცესში. პრაქტიკულ-შემოქმედებითი სამუშაოს სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე, პერსონალს გაცნობიერებული აქვს სპეციალური მეცადინეობისა და სწავლის მეთოდების საჭიროება.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამებზე წვდომას ვებ-გვერდის მეშვეობით, ცნობარებითა და მასალებით, რომელიც სტუდენტებს გადაეცემათ. სტუდენტებთან და პერსონალთან შეხვედრისას, ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა, რომ ქართულ და ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებსა და მასალებზე წვდომა მიმდინარე პრობლემაა პროგრამებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა გარკვეული გაუგებრობა შემოქმედებით ტურთან, მისაღებ გამოცდასთან დაკავშირებით, იმ კუთხით თუ ვინ არის მასზე პასუხისმგებელი და ასევე მის ეფექტურობასთან დაკავშირებით და პოტენციური სტუდენტის პროგრამისთვის შესაფერისობის შეფასების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია პერსონალში, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა. არსებობს დოკუმენტი, სადაც აღწერილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებისთვის, სხვადასხვა მოთხოვნებით და ნახსენებია სხვადასხვა შემთხვევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური კალენდარი;
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დასაქმების 2015-2017 წლის სტატისტიკის ანალიზი.
- სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუების შედეგები - ინტერვიუები აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მმართველ პერსონალთან და სტუდენტებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კითხვარები;
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში საგანმანათლებო პროგრამების დაგეგმვა, შექმნა და განვითარება უფრო მეტად უნდა დაიხვეწოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა სტუდენტთა საჭიროებებთან ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გლობალურ გარემოში.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით მეტი სიცხადეა საჭირო შემოქმედებითი ტურის გამოცდის მიზანთან, შინაარსთან და მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებთან მიმართებაში.

რჩევები:

ზოგიერთ შემთხვევაში, უმჯობესი იქნება თუკი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი ქართულ ენაზე ჩამოაყალიბებს რეკომენდაციების კურსს ზოგიერთი საგნისთვის. ამ რეკომენდაციებში, კარგი იქნება, თუკი გამოიყენებთ ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- თსსა-ში სახვითი ხელოვნების მიმართულებას პრაქტიკული და შემოქმედებითი მუშაობის კარგი შერწყმა აქვს. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა გამოფენებსა და სამუშაო შეხვედრებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.
- რესტავრაცია, არქიტექტურა, მედიის ხელოვნება და დიზაინი ახლო ურთიერთობაში არიან შრომის ბაზართან - ეს გამოცდილება აისახება პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსზე.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს სამართლებრივ აქტებს. თსსა-ს აქვს შეფასების შესწავლის სამართლიანი, გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა კომპონენტებსა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტებმა, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, იცოდნენ მათ პროგრამებთან მიმართებაში შეფასების წესების შესახებ.

შეფასების ფორმები განსაზღვრავს ხელოვნების საგნების მახასიათებლებს - შემოქმედებით-პრაქტიკული კომპონენტი რელევანტურია სწავლის შედეგებთან.

სწავლების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავდება შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები და საგნები შეესაბამება სწავლების საფეხურს.

სტუდენტების სწავლის შესაფასებლად გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. სისტემა არის თანასწორი და სამართლიანი და სტუდენტებმა იციან ამის შესახებ. სტუდენტებს აქვთ უფლება გამოიყენონ შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა. სტუდენტებმა აღნიშნეს ფაქტი, რომ მათ შეუძლიათ პერსონალს არაოფიციალურად მიმართოდ თავიანთი შედეგების შესახებ, თუმცა აქვთ ინფორმაცია ოფიციალური პროცესის არსებობის შესახებაც.

ექსპერტთა ჯგუფმა შეარჩია შეფასების რამდენიმე სტრატეგია, რომ შეემოწმებინა აღნიშნულნ სწავლის შედეგებთან მათი კავშირი. ჯგუფის მიერ, შემთხვევითობის პრინციპით, შერჩეული 6 ნიმუშიდან 3-ს ჰქონდა ცხადი შეფასება კონკრეტულ სწავლის შედეგთან მიმართებაში, ხოლო 3 შემთვევაში კავშირი ბუნდოვანი იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები.
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური კალენდარი;
- სტუდენტების აკადემიური შედეგების ანალიზი.
- ინტერვიუების შედეგები - ინტერვიუები აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მმართველ პერსონალთან და სტუდენტებთან.
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კითხვარები.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შეფასების სტრატეგიები და შენიშნა რამდენიმე შეუსაბამობა ხარისხში, სადაც შეფასების ფორმა ხშირად არ ემთხვევა სწავლის

შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გადაიხედოს შეფასების სტრატეგიები ყველა პროგრამაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა და მაღალი ხარისხი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით
განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი
პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
თსსა-ს აქვს ადამიანური რესურსების მართვის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია აკადემიაში პერსონალის დასაქმების პროცესები. ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა განაცხადების პროცესის და ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ. პოზიციების შევსების შესახებ. აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი ინიშნება ყოველ 4 წელში ერთხელ ღია კონკურსის გზით. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დანიშნული პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია ფაკულტეტზე შესასწავლი

პროგრამის საჭიროებებზე. თუმცა, თსსა-ში პერსონალის აყვანის პროცედურა უფრო მეტ კვალიფიციურ თანამშრომელს მოიზიდავდა თუკი ზოგიერთი კრიტერიუმი, მაგალითად ინგლისური ენის ცოდნა, კანდიდატების აქტიური ჩართულობა შესაბამის პროფესიულ დარგში გარდა საგანმანათლებლო პროცესისა, უფრო მკაფიოდ იქნებოდა ხაზგასმული შერჩევის პროცესის დროს. თსსა-ში სრულად აფილირებული აკადემიური პერსონალის პროპორცია მაღალია, რასაც ექპსერტთაჯგუფი დადებითად მიიჩნევს.

აკადემიას აქვს პერსონალის შეფასების სისტემა, რომელშიც გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის პერსონალის გამოკითხვა და უკუკავშირი, რათა შეფასდეს პერსონალი თითოეულ სტრუქტურულ ერთეულზე. ადმინისტრაციულმა და აკადემიურმა პერსონალმაც, რომელთაც ექპსერტთა ჯგუფი შეხვდა, იცოდა ამ სისტემის შესახებ. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება განისაზღვრება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლების მიერ. საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ შემდგომი გადამზადებისთვის, ხშირად ინგლისური ენის ცოდნაა საჭირო.

თსსა-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალი საკმაოდ რეგულარულად იღებს მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და სხვა კულტურულ ან დარგობრივ აქტივობებში, რომლებიც ორგანიზებულია დაწესებულების მიერ ან ტარდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შენიშნა ჩამოყალიბებული მიდგომა და სტრატეგია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, ან რაიმე სახის მისწრაფება რომ ორიენტირება მოხდეს ექსკლუზიურად კონკრეტულ პედაგოგიურ საჭიროებებზე და გაუმჯობესდეს შესაბამისი პროფესიული უნარები.

თსსა-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩანს მნიშვნელოვანი მისწრაფება ინტერნაციონალიზაციის პროცესისკენ. თუმცა, თსსა-ს წარმომადგენელთა სხვადასხვა ჯგუფები მოწმობენ, რომ დაწესებულება არ არის მზად მიიღოს მოწვეული საერთაშორისო პერსონალი და სტუდენტები (რეგულარულად), და არც იმისთვის, რომ ადეკვატურად მომზადდეს ადგილობრივი პერსონალი და სტუდენტები, რომ სრულად ნახონ სარგებელი ამ პროცესისგან. აკადემიას არ აქვს კონკრეტული გეგმა გაზარდოს ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა ან რომ გადაამზადოს პერსონალი, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო განვითარებას, თუმცა ეს საკითხი პრობლემის სახით ხაზგასმულია თვითშეფასების ანგარიშში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრა ადამიანური რესურსების მართვის და იურიდიულ საკითხთა სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებასთან, უწყვეტი განათლების ცენტრთან და საფინანსო სამსახურთან.

რეკომენდაციები:

- თსსა-მ უნდა განსაზღვროს პედაგოგიური უნარების კონკრეტული საჭიროებები და ორგანიზება გაუწიოს შესაბამის პროფესიულ ტრენინგებს აკადემიის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის.

- თსსა-მ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი უწყვეტი განათლების ცენტრს თავის მუშაობაში, რათა მმან თავისი ფუნქციების ინტეგრირება მოახდინოს, როგორც პერსონალის განვითარების ცენტრმა.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ინგლისური ენის ცოდნა განისაზღვროს აკადემიური/მოწვეული პერსონალის დასაქმების დროს ერთ-ერთ კრიტერიუმად.
- აკადემიამ უფრო დიდი ყურადღება უნდა გაამახვილოს ინგლისური ენის შესწავლის სტრატეგიაზე სტუდენტებისთვის, დაასაქმოს მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და რეგულარულად აკონტროლოს სწავლის შედეგები და ხარისხი.
- პერსონალის განვითარებისთვის წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას, თსსა-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გადამწყვეტი აქტივობები, მაგალითად ინგლისური ენის სწავლების პროცესის გაძლიერება პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა-ს აკადემიურ წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ აკადემიური პერსონალის 100 პროცენტს აქვს პირდაპირი აფილირება დაწესებულებასთან, რაც ნამდვილად დადებითი პრაქტიკაა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და კვლევითი/შემოქმედებითი/არტისტული აქტივობების სათანადო შესრულებასა და მათზე დაკისრებული ფუნქციების/მოვალეობების შესრულებას.

თუმცა, ექსპერტთმა ჯგუფმა სათანადოდ ვერ შენიშნა თსსა-ს მიერ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები პერსონალისთვის, რათა მათ ეფექტურად ჩაატარონ საგანმანათლებლო/კვლევითი/შემოქმედებითი/არტისტული აქტივობები.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემას განსაზღვრავს ადმინისტრაცია ან ფაკულტეტის საბჭო. თუმცა, საგანმანათლებლო სამუშაო დატვირთვის დეტალები უნდა ექვემდებარებოდეს აკადემიურ/მ ოწვეულ პერსონალსა და ფაკულტეტს შორის საერთო გადაწყვეტილებას, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის რეალისტური საჭიროების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა პოტენციური სამომავლო პრობლემა სტუდენტთა ზრდის მხარდასაჭერად სამომავლო დაფინანსებასთან დაკავშირებით, ბუნდოვანება იყო პერსონალისა და მენეჯმენტის მხრიდან სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობასთან მიმართებაში. სტუდენტთა დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით სიცხადე არის აუცილებელი, რათა მოხდეს სამომავლოდ საჭირო პერსონალის ეფექტური დაგეგმვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • შეხვედრა ადამიანური რესურსების მართვის და იურიდიულ საკითხთა სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან • აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ცხრილი.

რეკომენდაციები: • თსსა-მ უნდა დააწესოს სამიზნე ნიშნულები პერსონალის სამუშაო დატვირთვის უფრო ეფექტური მართვისთვის, მხედველობაში მიიღოს ამჟამინდელი და მომავალი სტუდენტების რაოდენობა თითოეულ პროგრამაზე, პროგრამების მახასიათებლები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5 . სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის,

კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები ზოგადად კმაყოფილები და დადებითად განწყობილი ჩანან აკადემიის მიმართ. მათი უფლებები საჩივრების განხილვაზე, რაც აკადემიისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას უკავშირდება, უმეტეს შემთხვევებში გათვალისწინებულია. თუმცა, აკადემიას არ აქვს კონკრეტული მექანიზმი სტუდენტთა უფლებების დასაცავად. სტუდენტებმა როგორც წესი არ იციან, პრობლემის შემთხვევაში, ვის მიმართონ ოფიციალურად. ჩანს, რომ სისტემა ეყრდნობა არაოფიციალურ კომუნიკაციებს. უფრო მეტიც, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ არსებულ რეგულაციებთან და პროგრამებთან (განსაკუთრებით მობილობის და ახლად მიღებული სტუდენტებისთვის) დაკავშირებული პრეზენტაციები ყოველთვის ოფიციალურ ფორმატში არ ტარდება, კომუნიკაცია სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის ძირითადად პორადოა, რაც ზოგჯერ იწვევს დაბნეულობას საგანმანათლებლო პროგრამებთან და არსებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. სტუდენტის სტატუსის, მობილობისა და მსგავსი სერვისების შესახებ რეგულაციები უნივერსიტეტში სამართლიანი ჩანს. თუმცა, სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუების დროს, შემოქმედებითი ტური (რომლითაც დგინდება სტუდენტების ხატვის უნარები და უკიდურესად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ჩაბარების დროს) ნაკლებად გამჭვირვალე ჩანს. სტუდენტები არ არიან დადებითად განწყობილი ზოგადად შედეგებთან, და გამოცდის მეთოდოლოგია პერსონალისთვისაც ბუნდოვანი ჩანს. უფრო მეტიც, შეთავაზებულია ალტერნატიული გამოსავალი არსებული გამოცდისთვის. აკადემიაშ არსებობს სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელიც არჩევნების გზით იქმნება. სტუდენტებს, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და რომლებიც არ არიან ამ ორგანოს წევრები, კარგად არ ესმით თუ რა არის თვითმმართველობის როლი ან ფუნქცია და გამოჩნდა, რომ მათ არ აქვთ ხშირი კავშირი თვითმმართველობის პროცესთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სტუდენტებთან, განათლების მართვის სამსახურთან შეხვედრა
რეკომენდაციები: • ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პერსონალსა და სტუდენტებს შორის საკომუნიკაციო არხები უმეტესად არაოფიციალურია ან გამოიყენება სხვადასხვა პლატფორმები. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ეს მიდგომა მუშაობს სტუდენტებისთვის, თუმცა შესაძლოა საჭირო იყოს ამ საკითხის გადახედვა თუკი სტუდენტთა რაოდენობა გაიზრდება ან თუ სტუდენტთა კონტინგენტი გამრავალფეროვნდება. • ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ლექტორები და სტუდენტები უფრო მკაფიო უნდა იყვნენ ოფიციალურ ტექნოლოგიურ კომუნიკაციასა და სწავლის მიმდინარეობაზე, რაც აგებულია პედაგოგიკაზე დაფუძნებულ ტექნოლოგიით

გაჯერებულ სწავლის ტრენინგებზე იმის გასაგებად თუ როდის, როგორ და რატომ არის მისაღები ვირტუალური სწავლების გარემო და როდის არის სასარგებლო საგანმანათლებლო პროცესში (და როდის არა) ისეთი პლატფორმების მოხმარება, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქი, Dropbox, , Google Docs, Twitter, Tumblr, Pinterest, Blogger. უფრო მეტიც, სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმები უფრო მკაფიო და ოფიციალური უნდა იყოს. სტუდენტები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმ მხარდამჭერ ღონისძიებებზე, რომელთაც უნივერსიტეტი მათთვის უზრუნველყოფს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უნივერსიტეტში ოფიციალურად პასუხისმგებელი ორგანოების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციულ წვდომას და დაეხმარებიან სტუდენტებს თავიანთი უფლებების დაცვაში. • ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა გაუმჯობესდეს მისაღები გამოცდების მეთოდოლოგია, შეიქმნას გამჭვირვალობა სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.
რჩევები: • სასურველია სხვა, მსგავსი სტრუქტურის მქონე უსდ-ების საუკეთესო პრაქტიკების მოძიება მისაღებ გამოცდასთან დაკავშირებით და მათი განხორციელება. თსსა-მ სასურველია გაითვალისწინოს სტუდენტებისა და პერსონალის აზრი გამოცდის ფორმატის შეცვლასთან დაკავშირებით, გამოკითხვების ჩატარებით ან დისკუსიების გზით და სხვა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებმა დადებითი კომენტარი გააკეთეს პერსონალთან პირად ურთიერთობებზე, პერსონალის უნარებსა და ცოდნაზე, ასევე მათ შესაძლებლობაზე, რომ სტუდენტებთან განიხილოს პრობლემები და უზრუნველყოს მათთვის აკადემიური მიმართულების მიცემა და მხარდაჭერა. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა ძალიან კარგი პრაქტიკა რესტავრაციის ლაბორატორიაში, ასევე ის შესაძლებლობები, რომელსაც იგი იძლევა სტუდენტებისთვის ყველა დონეზე, რეალურ კომერციულ და სამეწარმეო პროექტებში ჩართულობის მიზნით.

მეორეს მხრივ, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა სტუდენტთა ნაკლები ინფორმირებულობა კარიერული განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ და შეისწავლა ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვისებთან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემები. ამას გარდა, არ გამოიყენება საერთო მოხმარების ოფიციალური საკომუნიკაციო არხი სხვადასხვა მმართველ ან აკადემიურ ორგანოსა და სტუდენტებსა თუ კურსდამთავრებულებს შორის. კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა არ არის კარგად ორგანიზებული და აკლია მხარდაჭერა.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ სტუდენტებს უცხო ენის ცოდნის უკიდურესად დაბალი დონე აქვთ, რაც იწვევს დემოტივაციას საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. უნივერსიტეტის პერსონალმა აღნიშნა, რომ იგეგმება სტუდენტებში ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, გამოსავლის მოძიებით და ენის შესწავლის მიზნით გარე რესურსების მოზიდვით. ზოგად სასწავლო პერსონალში ენის ცოდნის დონე ასევე დაბალია, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს უსდ-ის განვითარების სტრატეგიაზე საერთაშორისო სტუდენტების ეფექტური მხარდაჭერის შესაძლებლობის კუთხით, ასევე უახლესი ოფიციალური/არაოფიციალური საგამმანათლებლო და სხვა ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობის კუთხით. გარდა ამისა, უსდ-ს არ აქვს არანაირი მოთხოვნა ენის სრულყოფილად ცოდნასთან დაკავშირებით მომავალი წლისთვის ახალი პერსონალის დასანიშნად, რაც შეუსაბამოა იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია იმ პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რომელთაც ინგლისური ენის კარგი წერითი და მეტყველების უნარი აქვთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- შეხვედრა სტუდენტებთან, განათლების მართვის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კარიერული განვითარების ცენტრთან, საფინანსო სამსახურთან და IT განყოფილებასთან და ბიბლიოთეკასთან.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კარიერული განვითარების ცენტრმა შეიმუშავოს უფრო ნათელი და მეტად ორიენტირებული სტრატეგია, რათა უზრუნველყოს, სტუდენტთა ინფორმირებულობა ცენტრისა და მისი ფუნქციების შესახებ და რომ ცენტრს მიეცეს ზრდისა და განვითარების საშუალება.

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ განვითარდეს აკადემიის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სტრატეგია, რათა გაიზარდოს ICT შესაბამისი დაფინანსებითა და უკეტესათ დააკმაყოფილოს სტუდენტთა ცვალებადი მოთხოვნები.
- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიის მასშტაბით საჭიროა მმართველ ორგანოებსა და სტუდენტებს შორის უფრო მკაფიო და ეფექტური საკომუნიკაციო არხების განვითარება.
- თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესელი სფეროს სახით, აღნიშნული იყო, რომ საჭიროა კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განვითარება, რასაც მხარს უჭერს ექსპერტთა ჯგუფი, ასევე ის კურსდამთავრებულებიც, რომელთაც შევხვდით.
- გადაიხედოს სტუდენტთა მხარდაჭერს გზები, რატა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებზე წვდომა, მათ შორის კონ სულტაციებსა და ფსიქოლოგიურ დახმარებაზე.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ უცხო ენის უნარების მდგრადი განვითარება მოიცავდეს ინგლისურს, ეს დაეხმარება სტუდენტებსა და ლექტორებს მობილობაში (როგორც შემომავალ ასევე გამავალ), ასევე დაეხმარება ლექტორებს პროფესიულ განვითარებაში და ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას, უზრუნელყოფს რომ პროგრამამ ასახოს საერთაშორისო დონეზე ხელოვნებაში არსებული უახლესი მიღწევები.

რჩევები:

- უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალში გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე, მომავალში დასაქმდეს ინგლისური ენის შესაბამისი დონის მცოდნე პერსონალი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ძალიან კარგი პრაქტიკა რესტავრაციის ლაბორატორიაში, ასევე ის შესაძლებლობები, რომელსაც იგი იძლევა სტუდენტებისთვის ყველა დონეზე, რეალურ კომერციულ და სამეწარმეო პროექტებში ჩართულობის მიზნით.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6 . კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა, განსაკუთრებით კი მედიის ხელოვნებისა და რესტავრაცია/ხელოვნების ისტორია და თეორიის ფაკულტეტებზე, სამართლიანად უწერს მხარს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას. შესაბამისი მაგალითებია ორი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული: „ვიზუალური კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების ინსტიტუტი“ და „კონსერვაციის ცენტრი“.

ზემოთ ხსენებულ ფაკულტეტებთან ერთად, დიზაინის ფაკულტეტსაც შეაქვს წვლილი შემოსავლების შემომტანი საქმიანობით, დაწესებულების ფარგლებში, „ლურჯი სუფრის“ პროექტის დაარსებით. ეს პროექტი დადებით გავლენას ახდენს თსსა-ს მიერ თავის სტრატეგიულ გეგმაში მითითებულ განზრახვაზე, რომ განავითაროს და ხელი შეუწყოს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას.

თსსა თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო, სოციალურ და კულტურულ განვითარებას რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. კვლევის შედეგები ინტეგრირებულია დაწესებულების სასწავლო აქტივობებში და ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ პერსონალს კარგად ესმის თავისი, როგორც მასწავლებლების, მკვლევარებისა და შემოქმედებითი პრაქტიკოსების როლი.

სადოქტორო კვლევის ეფექტურობასთან დაკავშირებით, ასევე სამეცნიერო და სამხატვრო-შემოქმედებითი პროექტების ხარისხთან მიმართებაში, ვიმეორებთ, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნდა იყოს გათვალისწინებული: თსსა არ იღებს საკმარის ინიციატივებს, რომ დაეხმაროს დოქტორანტებს საერთაშორისო დონეზე. სტუდენტები ცდილობენ დაუკავშირდნენ საერთაშორისო დონის პროფესიონალებს მხოლოდ საკუთარი კონტაქტებით. აკადემიას არ აქვს ოფიციალური შესაძლებლობები, რომლითაც დაეხმარება დოქტორანტურის სტუდენტებს დაესწრონ საერთაშორისო კონფერენციებს ან დაუკავშირდნენ სხვა სტუდენტებს სამიზნე დაწესებულებებში.

თსსა-ს დოქტორანტურის სტუდენტებთან შეხვედრისას, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა სტუდენტებსა და მათ ხელმძღვანელებს შორის ურთიერთ-კომუნიკაციის დადებითი მხარე. სხვა სარგებლიან საგნებს შორის, პედაგოგიური კომპონენტი ასევე შეტანილია სადოქტორო პროგრამაში. ეს სტუდენტებს აძლევს საშუალებას მოიპოვონ უკეთესი აკადემიური და სამეცნიერო კვალიფიკაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები დოქტორანტურის სტუდენტებთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, ვიზუალური კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების ინსტიტუტთან, კონსერვაციის ცენტრთან, სამეცნიერო კვლევისა და განვითარების განყოფილებასთან.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა შემუშავდეს გეგმა შემდგომი ინტერნაციონალიზაციისათვის, განსაკუთრებით კი დოქტორანტურის სტუდენტთა ხელმძღვანელობის კუთხით. ხელმძღვანელის მხრიდან ასევე უნდა შეირჩეს შესაბამისი საერთაშორისო პარტნიორები და შემდეგ წარუდგინონ/ურჩიონ სტუდენტებს.
- თსსა-მ როგორც დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნიკაციას ადგილობრივ და საერთაშორისო დოქტორანტებს შორის.
- წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას, თსსა-ს ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს დოქტორანტთა მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე, მაგალითად მათი დასწრება საერთაშორისო კონფერენციებზე.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრაციის კონტექსტში, „კონსერვაციის ცენტრის“ საქმიანობები რესტავრაციის/ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ბაზაზე წარმოადგენს კარგ პრაქტიკას. აღნიშნული ცენტრი და ფაკულტეტი არიან ერთადერთი სუბიექტები საქართველოში, რომლებიც მუშაობენ რესტავრაცია/კონსერვაციის დარგში. ცენტრისა და ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ და იმავდროულად პრაქტიკას გადიან საკუთარ პროფესიაში „რეალური ცხოვრების“ პროექტებსა და დავალებებზე. თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს უთმობენ მნიშვნელოვანი ქართული ძეგლების რესტავრაცია/კონსერვაციის პროცესში მონაწილეობას. უფრო მეტიც, ფაკულტეტისა და ცენტრის საქმიანობა თსსა-ს შემოსავლის გენერირებას ახდენს.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახემწიფო სამხატვრო აკატემიას აქვს სამეცნიერო კვლევითი და განვითარების სამსახური, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს აკადემიის სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის ზრდას, სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას, დოქტორანტურის სტუდენტების აქტივობებისა და კვლევით ინსტიტუტში მომუშავე ინდივიდების

პოპულარიზაციას, უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან კონტაქტების დამყარებასა და არსებული კონტაქტების განვითარებას. სამეცნიერო კვლევითი და განვითარევის სამსახურის დებულების თანახმად, მას მხოლოდ ერთი დამსაქმებელი ჰყავს - სამსახურის უფროსი. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს არ ჩანდა იმის მკაფიო მტკიცებულება, რომ ყველა მათგანმა იცოდა ამ სამსხურის მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერისა და თსსა-ში მისი როლის შესახებ.

სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებითი და კვლევითი პროექტების დაფინანსების შესაძლებლობები განიხილება ფაკულტეტის და/ან აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. პროექტის განაცხადების დაფინანსების/უარყოფის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ აღნიშნული კოლეგიური ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაფინანსების პროცედურობის გამჭვირვალობას და სამართლიანობას. თსსა-ს არ აქვს ოფიციალური წესები და პირობები კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის დასაფინანსებლად, თუმცა გეგმავს მათ შემუშავებას 2018-2019 სასწავლო წელს. ექსპერტთა ჯგუფი მხარს დაუჭერს საქმის ასეთ მსვლელობას.

მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები ჩართულები არიან ვკელვით პროექტებსა და შემოქმედებით აქტივობებში. დოქტორანტურის საფეხურზე, კვლევითი კომპონენტისთვის გადასახადი არ არსებობს, რაც სტუდენტებისთვის წამახალისებელია ხელოვნების სხვადასხვა დარგში სწავლისა და კვლევის ჩატარების კუთხით.

თსსა გეგმავს სწავლებისა და კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მისი საქმიანობის გაძლიერებას არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებითად და თანა-ხელმძღვანელობითი სადოქტორო და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას უცხოურ უნივერსიტეტებთან, თუმცა ეს დაგეგმილი აქტივობები მხოლოდ გარე დაფინანსების წყაროებს ეყრდნობა და ამჟამად თსსა-ს ბიუჯეტიდან ამ საქმისთვის ფინანსური მხარდაჭერა არ არის უზრუნველყოფილი.

თსსა-ს სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუების დროს, უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე განისაზღვრა, როგორც მთავარი წინაღობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. თუმცა, უსდ-ს არ აქვს გამოყოფილი ბიუჯეტში შესაბამისი რესურსები და უნივერსიტეტის მმართველობას არ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული ხედვა თუ როგორ უნდა შეასწრულოს ის აქტივობები, რომლებიც მითითებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში. თვითშეფასების ანგარიშსა და სტრატეგიულ გეგმაში ეს საკითხი პრიორიტეტულად არის განსაზღვრული და მას მხარს უჭერენ სტუდენტები და პერსონალიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან.
- სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უცხო ენის უნარების მდგრადი განვითარება მოიცავდეს ინგლისურს. ეს დაეხმარება სტუდენტებსა და ლექტორებს მობილობაში (როგორც შემომავალ ასევე გამავალ), ასევე დაეხმარება ლექტორებს პროფესიულ განვითარებაში და ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას, უზრუნელყოფს რომ პროგრამამ ასახოს საერთაშორისო დონეზე ხელოვნებაში არსებული უახლესი მიღწევები.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა თანამშრომლების რაოდეობის გაზრდა სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სამსახურში, რათა მას შეეძლოს უკეთესი და უფრო ეფექტური თანამშრომლობა სამეცნიერო და აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან თსსა-ში.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- დოქტორანტურის საფეხურზე კვლევითი კომპონენტისთვის არ არის სწავლის საფასური.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა-ს აქვს სისტემა კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებისთვის და აქვს განსხვავებული მეთოდოლოგიები შემოქმედებითი და სამეცნიერო დარგების შესაფასებლად. ფაკულტეტის ხელმძღვანელები ფაკულტეტი საბჭოს ყოველ წელს წარუდგენენ წლიურ ანგარიშს, რაც შემდეგ ეგზავნება სამეცნიერო განვითარებისა და კვლევის სამსახურს. ეს ანგარიშები წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

იმისათვის რომ, უზრუნველყოფილი იყოს მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევითი/შემოქმედებითი სახელოვნებო პროექტები, უაღრესად მნიშვნელოვანია წვდომა უახლესი ლიტერატურის ფართო სპექტრზე. თსსა-ს აქვს ორი მთავარი პრობლემა ამ კუთხით:

o ელექტრონული ბიბლიოთეკის პლატფორმის გამოყენების კულტურა არ არის სრულად დანერგილი არც პერსონალში და არც სტუდენტების დონეზე. სტუდენტები იყენებენ ნაკლებ უახლეს გამოცემებს თავიანთი კვლევისთვის, o არის ქართულენოვანი დარგობრივი ლიტერატურის ნაკლებობა, ასევე ნათარგმნი ლიტერატურის ნაკლებობაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • შეხვედრები დოქტორანტურის სტუდენტებთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, ვიზუალური კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების ინსტიტუტთან, კონსერვაციის ცენტრთან, სამეცნიერო კვლევისა და განვითარების განყოფილებასთან, ბიბლიოთეკასთან.
რეკომენდაციები: • თსსა-მ უნდა შეიმუშავოს სტრატეგია სტუდენტებსა და პერსონალში ელექტრონული ბიბლიოთეკის პლატფორმის დადებითი და სასარგებლო ასპექტების პოპულარიზაციის მიზნით; ინფორმაცია მიაწოდოს მათ იმაზე თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს კვლევის ხარისხზე ამ პლატფორმების გამოუყენებლობამ; ჩაატაროს ტრენინგები ასეთ პლატფორმებზე მუშაობასთან დაკავშირებით; • დაწესებულებამ უფრო დიდი ყურადღება უნდა გაამახვილოს ინგლისური ენის შესწავლის სტრატეგიაზე სტუდენტებისთვის, დაასაქმოს მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და რეგულარულად აკონტროლოს სწავლის შედეგები და ხარისხი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7 . მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისი სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და მისი მატერიალური ბაზა ემსახურება უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციის - საგანმანათლებლო მისიის განხორციელებას.

თსსა-ს საკუთრებაშია შენობები და სტრუქტურები, შემდგომ მისამართებზე:

- ისტორიული შენობა, გრიბოედოვის ქ.22
- შენობა, ძმები ზუბალაშვილების ქ.47
- შენობა, თაბუკაშვილის ქ.5
- შენობა, ქუჩიშვილის ქ.9
- შენობა, ყიფშიძის ქ.34
- შენობა, ჭავჭავაძის ქ.16
- შენობა, შარდენის ქ.19
- მცხეთის რეგიონი, სოფელი მისაქციელი
- კასპის რეგიონი, სოფელი ახალქალაქი

თსსა-ს მიერ აღნიშნული შენობების საკუთრება დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. შარდენის ქუჩაზე მდებარე შენობა ითავსებს საგამოფენო დარბაზისა და გობელინის მუზეუმის ფუნქციებს. თითოეულ მისამართზე განლაგებულ ყველა შენობაში, გარდა სოფელ მისაქციელში არსებულისა, მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, იკითხება ლექციები, სამუშაოები მიმდინარეობს სამხატვრო სტუდიებში და ა.შ.

2016 წლიდან გრიბოედოვის ქ.22-ზე მდებარე ისტორიულ შენობაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული შენობა აიგო მე-19 საუკუნის 50-იან წლებში და აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. აღნიშნულ შენობაში განთავსებული იყო აკადემიის ადმინისტრაცია, ადმინისტრაციული ერთეულები, ასევე რამდენიმე ფაკულტეტის აუდიტორიები, საგამოფენო დარბაზი, აკადემიის მუზეუმი და მისი ფონდები, დოქტორის ოფისი და სხვა დამხმარე ოთახები. აკადემიამ შეიმუშავა გეგმა აღნიშნული სამსახურებისა და სხვადასხვა ფუნქციების მქონე სხვა ადმინისტრაციული ერთეულების სხვა შენობებში გადასანაწილებლად.

გრიბოედოვის ქ.22-ზე მდებარე შენობის რეაბილიტაციის/რესტავრაციის შემდეგ, პროექტით გათვალისწინებული აღნიშნული დაწესებულებები დაიწყებს მუშაობას: სალექციო დარბაზები და სახელოსნოები, თსსა-ს ბიბლიოთეკა (სამკითველო დარბაზი, წიგნების საცავი და ა.შ.), მუზეუმი და სამუზეუმო ფონდი, სამი საგამოფენო დარმაზი, ადმინისტრაცია და სამსახურები; აღმოსავლეთ ფლიგელში განთავსდება საჯარო ლექციებისა და კულტურული ღონისძიებების სივრცე. სასადილო და სპორტული დარბაზი ამოქმედდება, როგორც დამხმარე სტრუქტურა. შესაბამისად, 2018-2019 სასწავლო წლის სექტემბრის სემესტრში, პროექტით გათვალისწინებულ პერიოდში, ადმინისტრაციის

ფუნქციონირება განახლდება, გაფართოებული ბიბლიოთეკა დაიწყებს მუშაობას და საგამოფენო პროცესები აღდგება აკადემიის ისტორიულ შენობაში. ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა, რომ სარემონტო სამუშაოები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს შენობის მოცულობასა და მუშაობის ხარისხს თსსა-ს მასშტაბით, რასაც მისეალმებიან როგორც სტუდენტები, ასევე პერსონალი.

თსსა-ს თითოეულ შენობას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი წყარო. ყველა სალექციო დარბაზი, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული სივრცეები უზრუნველყოფილია დღის სინათლითა და ხელოვნური განათებით. ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ ყველა სტუდენტსა და პერსონალს უტარდებათ ბრიფინგი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ამჟამინდელი შენობების ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე სახანძრო უსაფრთხოების შესახებ საჯარო ინფორმაციის ნაკლებობაა. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთ სივრცეში, მაგალითად ბიბლიოთეკის ოთახებსა და პერსონალის სამუშაო ადგილებზე ძალიან ცხელოდა და არ იყო საკმარისი კონდიცირება, თუმცა გვითხრეს, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრება გარემონტებულ და ახალ შენობებში.

ცალკე სანიტარული კვანძებია ყველა შენობაში. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა ზოგიერთი ამ კეთილმოწყობის დაბალი ხარისხი, თუმცა ასევე შენიშნა რომ ეტაპობრივად იგეგმება ყველა შენობისა და კეთილმოწყობის განახლება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შენობებზე წვდომა შეზღუდულია, თუმცა გრიბოედოვის 22 ნომერში მდებარე გარემონტებული შენობა სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. იქ, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია პანდუსების დამონტაჟება. თსსა-ს სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აკადემიის ყველა შენობის ადაპტირებას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ შეუფერხებელი გადაადგილების შესაძლებლობა. ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე შეიქმნება სპეციალური ავტოსადგომი.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ აკადემიის ზოგიერთი აქტივობა, რომელშიც სტუდენტები მონაწილეობენ, პოტენციურად სახიფათოა, მაგალითად რესტავრაციის პროექტი. სტუდენტებსა და პერსონალს ნიღბები ეკეთად, თუმცა გარშემო არ იყო გამოკრული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ მასალები და რეგულაციები. სტუდენტებმა, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, ასევე ვერ გაიგეს თუ რა ტრენინგი მიიღეს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უფრო მეტად ეყრდნობოდნენ ინდივიდუალურად პერსონალიდან მიღებულ ინფორმაციებს, თუ რა არის უსაფრთხო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა-ს თვითშფასების ანგარიში
- შეხვედრები პერსონალთან და სტუდენტებთან
- შეხვედრა სტუდენტების თვითმმართველობის ჯგუფთან
- თსსა-ს ფინანსურ პერსონალთან შეხვედრა
- შენობებში განხორციელებული ვიზიტები

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ აღჭურვილობისა და კეთილმოწყობის მხარდაჭერის, შენარჩუნების, მომარაგებისა და განვითარების სტრატეგია უნდა შემუშავდეს, განხორციელდეს და შემდეგ მონიტორინგს დაექვემდებაროს, მათ შორის შემუშავდეს მკაფიო გეგმა რეგულარულ დაფინანსებისთვის, რათა შენარჩუნდეს და მომარაგდეს ინვენტარი.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ გადაიხედოს და განახლდეს სტუდენტებისთვის მიწოდებული იფნორმაცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ და სამუშაო სივრცეებში განთავსებული ინფორმაცია ჯანმღტელობისა და უსაფრთხოების შესახებ

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიის ბიბლიოთეკაში შემავალი ერთეულებია:

ა) სამკითხველო დარბაზი;

ბ) ფონდის წიგნების ორი საცავი;

გ) სასწავლო კომპიუტერული რესურს ცენტრი;

დ) ლ.რჩეულიშვილის ოფისი;

ე) კეგლის რესურს ცენტრი ამერიკული ხელოვნებისა და არქიტექტურისთვის;

ვ) რესტავრაციის/კონსერვაციის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა; ზ) ექსპერიმენტული გალერია - „ატელიე აკადემია +“.

ბიბლიოთეკაში არის 16 კომპიუტერი, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან (მათ შორის რესურს ცენტრის 9 კომპიუტერი) უსადენო კავშირით. სამკითხველო დარბაზში არის: სკანერი, პრინტერი და ქსეროქსი.

ბიბლიოთეკა კონტაქტობს აკადემიის ყველა ფაკულტეტთან და წლიურად იღებს ინფორმაციასა და რეკომენდაციებს ახალი საგანმანათლებლო ლიტერატურის, კვლევების შესახებ და შეიძენს მათ ბეჭდურ ან ელექტრონულ ვერსიებს. დეკანებთან შეთანხმებით, იგი

განიხილავს საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების ბაზებს, არჩევს და შეიძენს სამხატვრო აკადემიის პროფილისთვის შესაფერის მონაცემთა ბაზებს. ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიური პერსონალისგან მოისმინა, რომ მიმდინარეობს პროცესები ახალი წიგნებისა და მასალების შესაძენად. წარმოიშვა ბიბლიოთეკაში არსებულ სახელმძღვანელოებსა და ბეჭდურ მასალებში ქართულენოვანი ან ინგლისურენოვანი წიგნების რაოდენობის ნაკლებობის საკითხი. ამაზე კომენტარი გააკეთა პერსონალმა და სტუდენტებმაც, ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად შემუშავებული გეგმა.

2011 წლიდან, საბიბლიოთეკო პროგრამა OpenBiblio დაინერგა სამხატვრო აკადემიაში ელექტრონული კატალოგის შესაქმნელად. ამჟამად ელექტრონული კატალოგი მოიცავს 18400 წიგნს.

სტუდენტებსა და აკადემიის მასწავლებლებს წვდომა აქვთ რამდენიმე საერთაშორისო ბიბლიოთეკის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე: აკადემიის ვებ-გვერდზე არის ელექტრონული კატალოგიhttp://art.edu.ge/catalog/opac/index.php

ექსპერტთა ჯგუფს ამცნეს ოქსფორდის ხელოვნების ონლაინ მონაცემთა ბაზის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას ინგლისურენოვან მასალებზე. თუმცა, როდესაც ბიბლიოთეკაში მყოფ ორ სტუდენტს ვკითხეთ ამის შესახებ, მათ თითქოს არ ჰქონდათ ამაზე ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფს ასევე ამცნეს, რომ არის გეგმები ციფრული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზების მოხმარების სტატისტიკის აღრიცხვის მიზნით, რაც მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება, თუმცა ეს არ ფუნქციონირებდა ვიზიტის დროს.

სამხატვრო აკადემიის რესურსებისა და სერვისების განახლების მექანიზმები კვლავ მიიჩნევა ბიბლიოთეკის მთავარ სტრატეგიულ მიზნად და პრიორიტეტად. ეს მოიცავს, კატალოგების შემუშავებს, კერძოდ ინგლისურენოვანიდა ქართულენოვანი სახელმძღვანელოების ელექტრონული ბაზების განვითარებას.

გაფორმებულია რამდენიმე მემორანდუმი, მაგალითად ილია ჭავჭავაძის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. გაიზარდა ბიბლიოთეკის პერსონალის კვალიფიკაცია და სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკას მიეცა შესაძლებლობა, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, მიიღოს მონაწილეობა ციფრული ქორნიკების გახსნაში. მემორანდუმი გაფორმდა „გამრეკელის გალერიასთან, რომელმაც წვლილი შეიტანა ორ დაწესებულებას შორის მნიშვნელოვანი კავშირებისა და საგამოფენო აქტივობების მიმართულებით. ეს ღონისძიებები დაეხმარება ბიბლიოთეკას შეიმუშავოს თავისი კატალოგები და სერვისები.

2018 წლის იანვარში სტუდენტები გამოკითხვეს კითხვარების დახმარებით. რესპოდენტების უმრავლესობა ზოგადად კმაყოფილი იყო ბიბლიოთეკის მომსახურებით. თუმცა სტუდენტებმა აღნიშნეს თავიანთი კომენტარები და რეკომენდაციები., უმრავლესობის თანახმად, ბიბლიოთეკას არ აქვს კომფორტული გარემო და არ არის საკმარისი სამუშაო სივრცე; სასურველია, რომ იყოს მეტი კომპიუტერული აღჭურვილობა და დაემატოს საგანმანათლებლო ან მხატვრული ლიტერატურა ქართულ ენაზე, გაუმჯობესდეს ბიბლიოთეკა ახალი თანამედროვე ლიტერატურით.

ბიბლიოთეკას აქვს ყუთი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მოათავსონ თავიანთი რჩევები სერვისის გასაუმჯობესებლად. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ

კომენტარების უმრავლესობა შეეხება ახალი წიგნების საჭიროებას, რომელსაც თსსა რესურსების შესაბამისად აგვარებს. ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებისგან მოისმინა, რომ ისინი უკმაყოფილოები არიან ბიბლიოთეკის სივრცით და ინგლისურ და ქართულენოვან მასალებზე წვდომით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის შეზრუდული სივრცე და ჰაერის კონდიცირების ნაკლებობა სტუდენტებისა დაპერსონალის სამუშაო ადგილებზე. აკადემიაში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას დაიწყებს გრიბოედოვის 22 ნომერში, განახლებულ ისტორიულ შენობაში. პროექტი ითვალისწინებს უფრო მეტ სივრცეს სამკითხველო დარბაზებისთვის (ორ დარბაზს), წიგნების საცავებისა და სამუშაო ჯგუფებისთვის. ექსპერთა ჯგუფმა შენიშნა და მხარს უჭერს ბიბლიოთეკის გადაადგილებისა და გაუმჯობესების გეგმებს. ამ პოზიციას იზიარებენ სტუდენტები და პერსონალიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსა-ს ბიბლიოთეკის დებულებები • თსსა-ს ბიბლიოთეკის გამოყენების წესები • თსსა-ს ბიბლიოთეკის მემორანდუმები და კონტრაქტები • თბილისის სახელმწიფო სამხატრო აკადემიის ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების გეგმა • თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული აქტივობები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში • თსსა-ს ბიბლიოთეკის განვითარების სტრატეგია • ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა 2018-2024 წლებისთვის
რეკომენდაციები: • ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ბიბლიოთეკამ შეიმუშავოს სტრატეგია ქართული და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების შესაძენად, როგორც ბეჭდური ასევე ციფრული ვერსიების და გამოყოს ამ კუთხით ფინანსური რესურსები. • ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ აკადემიამ შეიმუშავოს ოფიციალური სისტემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სტუდენტმა/პერსონალმა იცოდეს საერთაშორისო მონაცემთა ბაზების შესახებ და მათ მიეწოდოთ ინფორმაცია და ჩაუტარდეთ ტრენინგი ამ მონაცემთა ბაზებით სარგებლობის შესახებ.
რჩევები: ექსპერტთა ჯგუფმა ჩაინიშნა და მხარს უჭერს აკადემიის გეგმას მისი შენობების განვითარებასთან დაკავშირებით და ფიქრობს, რომ ოქტომბერში ისტორიული შენობის გახსნა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აკადემიას საბიბლიოთეკო დაწესებულების, სტუდიებისა და საგამოფენო სივრცეების კუთხით და იმის შესაძლებლობით, რომ გამოიმუშავოს კომერციული შემოსავალი და აკადემია გაასაჯაროვოს უფრო ფართო საზოგადოებისთვის საქათველოში. შენობა აკადემიას ასევე გახსნის მობილობის პრობლემის მქონე სტუდენტებისა და პერსონალისთვის ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა ამჟამინდელი ბიბლიოთეკის სივრცეზე წვდომის ნაკლებობა, თუმცა გვაქვს ინფორმაცია და მხარს ვუჭერთ მის გაფართოებას ახალი სარემონტო პროექტის ფარგლებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ინფორმაციულ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტებს, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს კომპოიტერული სერვისების შესახებ ინფორმაციით. სერვისების უზრუნველყოფის კოორდინირება ხდება აკადემიის ინფორმაციულ ტექნოლოგიური ჯგუფის მიერ.

ყველა ფაკულტეტსა და ბიბლიოთეკას აქვს კომპიუტერული რესურს ცენტრები, რომელთაც ემსახურება 382 კომპიუტერი. ისინი ხელისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. თსსა-ს აუდიტორიების დიდი უმრავლესობა აღჭურვილია კომპიუტერებითა და პროექტორებით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ლექციების მსვლელობის ხარისხს. აკადემიაში კომპიუტერები ემსახურება აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, კვლევით ცენტრსა და ინსტიტუს,. კომპიუტერული მოწყობილობების ბაზა ყოველწლიურად განახლებადია ისეთი კომპიუტერებით, რომელთა ტექნიკური მახასიათებლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს.

აკადემიაში ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკა და პროცედურები , ხორციელდება აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებისა და ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის მიერ.

აკადემიას ჰყავს სამხატვრო აკადემიის ინფორმაციულ ტექნოლოგიური მართვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია აღჭურვილობის შენარჩუნებასა და შეკეთებაზე, ქსელების გაყვანასა და IT კეთილმოწყობის დაგეგმვაზე ისე, რომ შეესაბამებოდეს სტუდენტებისა და პროგრამის საჭიროებებს.

სამხატვრო აკადემიაში ხელმისაწვდომია სხვადასხვა ინფორმაციული ტექნოლოგიები, პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ინტერნეტი და Wi-Fi.

ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ძველი საკომუნიკაციო სისტემების (ინტერნეტი და შიდა ქსელები) განახლების გეგმა სამხატვრო აკადემიის ყველა საგანმანათლებლო შენობაში. ასევე დაგეგმილია არსებული კომპიუტერული აღწურვილობის გაუმჯობესება და განახლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სტუდენტებმა, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, აღნიშნეს, რომ აკადემიაში არ არის საკმარისი ICT კეთილმოწყობა, და რომ ზოგიერთი მათგანი მოძველებულია. სტუდენტებმა და პერსონალმა ასევე აღნიშნეს, რომ აკადემიაში ზოგჯერ ინტერნეტ წვდომის დაბალი ხარისხია. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ICT ფუნქციის პერსონალს. პერსონალს კითხეს სტუდენტთა საჩივრების შესახებ, თუმცა აღმოჩნდა, რომ მათ აქვთ სისტემა პრობლემების ანგარიშგების შესახებ, რომელიც ეყრდნობა სტუდენტების მიერ პერსონალის მოძებნას და მათთვის პრობლემების შესახებ ანგარიშის ჩაბარებს, ნაცვლად ოფიციალური სისტემისა. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა სისტემა ან სტრატეგია ICT სისტემების დაგეგმილი განახლებისთვის . ამ საკითხის მოსაგვარებლად, ვერც ფინანსური სტრატეგია აღმოვაჩინეთ.

ვებ-გვერდს, რომელიც არის ქართულ და ინგლისურ ენებზე, აქვს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციები და მოიცავს ინფორმაციას: აკადემიის ყველა სამეცნიერო აქტივობის შესახებ; დაწესებულების სტრუქტურის; მმართველი ორგანოებისა და მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შესახებ; ფაკულტეტების შესახებ; სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების და მათი საქმიანობის შესახებ; დაწესებულების პერსონალის შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამებზე; სამეცნიერო-კვლევით აქტივობებზე; საერთაშორისო ურთიერთობებზე; ბიბლიოთეკაზე და სხვა. ვებ-გვერდზე რეგულარულად განახლებადია ინფორმაცია მიმდინარე მხატვრულ/შემოქმედებით პროექტებზე, კონკურსებზე, სხვა საჯარო, კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებზე. ვებ-გვერდი მომხმარებელს აწვდის ამომწურავ საკონტაქტო ინფორმაციას და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

შეფასება

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიური კომპონენტის მიმართ პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით.

☐ სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ განვითარდეს აკადემიის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სტრატეგია, რათა გაიზარდოს ICT შესაბამისი

დაფინანსებითა და უკეტესათ დააკმაყოფილოს სტუდენტთა ცვალებადი მოთხოვნები.. • ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ აღჭურვილობისა და კეთილმოწყობის მხარდაჭერის, შენარჩუნების, მომარაგებისა და განვითარების სტრატეგია უნდა შემუშავდეს, განხორციელდეს და შემდეგ მონიტორინგს დაექვემდებაროს, მათ შორის შემუშავდეს მკაფიო გეგმა რეგულარულ დაფინანსებისთვის, რათა შენარჩუნდეს და მომარაგდეს ინვენტარი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
7.4 ფინანსური რესურსები
o უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. o უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას. o უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე. o უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას. o უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა o
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბიუჯეტი არის 9 852 859.00 ლარი, მოიცავს საბიუჯეტო ასიგნებებს 6 573234.00 ლარის ოდენობით და საკუთარ შემოსავალს, რომელიც შეადგენს 3 279625.00 ლარს. სამხატვრო აკადემიის ყველა ფინანსური რესურსი მიმართულია საგანმანათლებლო, მხატვრული/შემოქმედებითი და სამეცნიერო აქტივობების დასაფინანსებლად. ბიუჯეტით გათვალისწინებულია მატერიალური და ტექნიკური ბაზების შენარჩუნება და განვითარება, კომუნალური გადასახადების ხარჯები, ინფორმაციული რესურსების ფუნქციონირება და განვითარება, კომუნიკაციების დაფინანსება, სანიტარული კვანძები, ჰიგიენა და ა.შ. 2017 წელს აკადემიის ბიუჯეტი შეადგენს 9 852 859.00 ლარს და განაწილებულია შემდეგნაირად: • ხელფასები - 3 882 620.00 ლარი; • საქონელი და მომსახურება- 1 249 039.00 ლარი; • სხვა ხარჯები - 127 028.00 ლარი; • არა-საფინანსო აქტივები - 3 994 172.00 ლარი; თსსა-ს პროფესორებისა და მასწავლებლების ხელფასები -2 190 625.00 ლარი;

სამეცნიერო აქტივობების ანაზღაურება - 151 800,00 ლარი;

ბიბლიოთელა - 65 385,00 ლარი

შემომავალი პროექტების ანაზრაურება - 176 868.00 ლარი;

ადმინისტრაციის ანაზღაურება - 1 297 942,00 ლარი;

კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები - 187 214.00 ლარი;

აკადემიამ შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ფინანსურ და ეკონომიკურ აქტივოებს უსდ-ში. საფინანსო კონტროლი ხორციელდება უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ. ანგარიშგების პოლიტიკის დოკუმენტი და აუდიტის ანგარიში თანდართულია. აკადემიას აქვს ანგარიშვალდებულების სისტემა, ფინანსური მართვა და კონტროლი. ექსპერტთა ჯგუფმა ამის შეესახებ ინფორმაცია გაარკვია საფინანსთო გუნდთან შეხვედრისას.

ექსპერთა ჯგუფი შეშფოთებას გამოთქვამს, იმას რომ აკადემია ზედმეტად ეყრდნობა სტუდენტებიდან მომავალ სახელწიფო დაფინანსებას, ეს შესაძლოა რისკად იქცეს, თუკი სტუდენტთა რაოდენობა ეროვნულ დონეზე დაეცემა ან თუ დამატებითი კონკურენტები გამოჩნდება საქართველოში.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობასა და მის ზრდაზე არსებობს გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სამომავლო დაფინანსებაზე. ექსპერტთა ჯგუფმა უერთიერთსაწინააღმდეგო აზრები მოისმინა სტრატეგიულ გეგმაში გაწერილ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის გეგმასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ფაკულტეტის პერსონალმა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრის დროს გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა სტუდენტთა ამჟამინდელი რაოდენობის შენარჩუნება რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხი შეზღუდული რესურსების ფონზე. მენეჯმენტი კი მიიჩნევს, რომ ზრდა აუცილებელია აკადემიის პროფილის განვითარებისთვის და სამომავლო შემოსვლების ნაკადის უზრუნველსაყოფად.

აკადემიას აშკარად არ აქვს რეზერვები ან მკაფიო გეგმები, რომ გამოიმუშავოს მეტი შემოსავალი არა-სახელმწიფო ორგანოებისგან.~ ასევე, ვერ წარმოგვიდგინეს მტკიცებულება, რომ არსებობს მკაფიო გეგმა კვლევების გენერირების ან სხვა შემოსავლების ან ამ კუთხით სხვა სამიზნეებისთვის. მარტალია წარმოადგინეს რამდენიმე პოტენციური და რეალური შემოსავლის მომტანი აქტივობები, მაგალითად რესტავრაციის ლაბორატორია და ლურჯი სუფრის პროექტი, თუმცა ამისათვის არ არსებობს არც სტრატეგია ან გეგმა ან რაიმე მითითება შემოსავლის სამიზნეებზე დამატებითი შემოსავლების ნაკადთან მიმართებაში.

როდესაც ვკითხეთ რესურსების განაწილების პრიორიტეტების შესახებ, ფინანსური დაგეგმარება აღმოჩნდა, რომ მომდინარეობს ფაკულტეტებისა და კერძოდ დეკანების მოთხოვნებიდან, იმის ნაცვლად რომ ეყრდნობოდეს საყოველთაოდ შეთანხმებულ სტრატეგიულ გეგმას. პერსონალმა, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, არ იცოდა თუ როგორ ხდება რესურსების განაწილება, კვლავ მიუთითებდნენ დეკანების ინდივიდუალურ ძალაუფლებაზე, ნაცვლად იმისა, რომ აკადემიას ჰქონდეს დაგეგმილი მიდგომა.

ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა საგანგებო ფონდის გეგმის შესახებ, თუმცა ვერ მიიღო ზუსტი ინფორმაცია იამზე, თუ რამდენად არსებობს ასეთი გეგმა და როგორ განიხილავენ. ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ არსებოს სადაზვეო პოლიტინა, რომელიც აგვარებს

საგანგებო სიტუაციებს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ყველა საგანგებო ფინანსური მდგომარეობის გადაჭრა ამ გზით ვერ მოხერხდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები შეხვედრები რექტორთან,კანცლერთან და მმართველ გუნდთან შეხვედრა საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებთან თსსა-ს თვითშფასების ანგარიში თსსა-ს სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა თსსა-ს წესდება
რეკომენდაციები: • ექპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვით-გამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას და უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას.. • ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით და გასცემს რეკომენდაციას, რომ საჭიროა ამ საკითხზე მკაციო გადაწყვეტილების მიღება და პერსონალთან განხილვა და ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფინანსური შედეგების სრულად გათვალისწინება.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან